# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 17 თებერვალი 1999 №27 (800) | ფასი 50 თეთრი


2

## ქინქლაძე მიდლსბროსაც მოუნდა



ბრაიან რობსონი გიორგი ქინქლაძეში 4 მილიონ გირვანქას იხდის

5

## ალბათ, მაინც კიგანი

ვინ დაიკავებს ინგლისის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობას? პასუხს მალე გაიგებთ



10

## ქართველებმა მუსლიმებში იბაირამეს, შინ კი მარხულობენ

თურქებმა ელდარ კურტანიძეს ესროლეს... გელა ჩხაიძე საბერძნეთში გაიქცა

10

## ფიცი გვწამს, სოკი გვაკვირვებს

სამარანჩს სპონსორებიც აუჯანყდნენ



# საუკეთესო სამხრეთამერიკელები



REUTERS

*ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში სამხრეთ ამერიკის 1998 წლის საუკეთესო ფეხბურთელი და მწვრთნელი დაასახელეს. გამოკითხვა ურუგვაული გაზეთის „ელ პაის“ თაოსნობით ჩატარდა და მასში 56 ქვეყნის 300-მა ამერიკელმა და ევროპელმა ჟურნალისტმა მიიღო მონაწილეობა.*

*საუკეთესო მოთამაშედ არგენტინის ამომავალი ვარსკვლავი, ახალგაზრდული ნაკრებისა და ქვეყნის ჩემპიონ „ბოკა ხუნიორსის“ წევრი მარტინ პალერმო აღიარეს (ზედა ფოტოზე მარცხნივ). მას პრიზი სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტმა, პარაგვაელმა ნიკოლას ლეოსმა გადასცა. საუკეთესო მწვრთნელის ტიტული „ბოკას“ თავკაც კარლოს ბიანკის მიენიჭა (ქვედა ფოტოზე მარჯვნივ). იგი ურუგვაის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ეუხენიო ფიგუეროდომ დააჯილდოვა. გაირკვა 1998 წლის სამხრეთ ამერიკის სიმბოლური ნაკრები კონტინენტური კონფედერაციის ვერსიით, რომლის შემადგენლობასაც მეექვსე გვერდზე იხილავთ.*



REUTERS

# როზსონს სურს, ქინქლაძემ ბორო ათამაშოს



პრემიერლიგის გათამაშებაში მეათე ადგილზე მყოფ „მიდლსბროს“ თავკაც ბრაიან რობსონს ჩვენებური გიორგი ქინქლაძის გადაბირება გადაუწყვეტია და მზად არის, მის სანაცვლოდ ქართველი ნახევარმცველის ამჟამინდელ კლუბს ამსტერდამის „აიაქსს“ 4 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. ეს ინფორმაცია გუშინ ქინქლაძის თანაკლუბელმა შოთა არველაძემაც დაადასტურა.

თავად გიოსგან ვიცით, რომ მას ჰოლანდიური კლუბის დატოვება გადაუწყვეტია და ამაზე „აიაქსის“ მწვრთნელი იან ვოუტერსიც თანახმაა. რაც შეეხება „ბოროს“, რომელშიც ამჟამად პოლ გესქოინი თამაშობს, ცოტა ხნის წინ ეს კლუბი მადრიდის „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას ბრაზილიელი გამთამაშებლის ჟუნინიოს დაბრუნების თაობაზე, 10 მილიონი გირვანქაც გამზადებული ჰქონდა, მაგრამ ბოლო მომენტში ჟუნინიომ „ატლეტიკოში“ დარჩენა გადაწყვიტა.

ამის მერე რობსონმა ყურადღება საქართველოს ნაკრების გამთამაშებელზე შეაჩერა. ინგლისელის თქმით, მას სჯერა, რომ ქინქლაძე მომავალი თვის ბოლომდე ანუ ინგლისში სატრანსფერო სეზონის დახურვამდე გადავა „მიდლსბროში“ და არანაკლებ ღირსეულად ითამაშებს, ვიდრე იგივე ჟუნინიო.

# შეძლება ქართველთა დუელი?

საქართველოს ნაკრებისა და ციურიხის „გრასჰოპერის“ თავდამსხმელმა მიხეილ ყაველაშვილმა ტრავმა მიიღო და გაურკვეველი ვადით გამოაკლდა როგორც ეროვნულ, ისე შვეიცარულ გუნდს. ყაველაშვილი ცოტა ხნის წინ „გრასჰოპერს“ ბრაზილიაში ახლდა შეკრებაზე და ფეხი ერთ-ერთ იქაურ ვარჯიშზე დაიშავა. „კალიებმა“ სამხრეთ ამერიკაში რამდენიმე საკონტროლო მატჩი გამართეს და ამ შეხვედრებში ფეხბურთელთა მზადყოფნის დონით კლუბის მთავარი მწვრთნელი როჯერ ჰეჯი კმაყოფილი დარჩა, მაგრამ შეკრებას უარყოფითი შედეგიც მოჰყვა.

„გრასჰოპერს“ ყაველაშვილის გარდა კიდევ სამი წამყვანი ფეხბურთელი დაემტვრა — ჰაასი, მანინი და ფოგელი. ამათგან, ალბათ, მხოლოდ მანინი დაეხმარება „კალიებს“ სეზონის განახლებისთანავე, ხოლო ყაველაშვილს, ჰაასსა და ფოგელს მკურნალობის კურსის გავლა მოუწევთ და კლუბსაც ჩემპიონატის მსვლელობისას შეუერთდებიან. თუმცა, მიუხედავად ყაველაშვილის ტრავმისა, შვეიცარიის ჩემპიონატის ფინალური სტადიის პირველი ტური, რომელიც 28 თებერვალს გაიმართება, უქართველოდ, ალბათ, მაინც არ ჩაივლის. ახლახანს „გრასჰოპერის“ თანაქალაქელ „ციურიხში“ გადასული გოჩა ჯამარაული, თავის კლუბთან ერთად ჩემპიონობისთვის მებრძოლ „კალიებსა“ და „სერვეტს“, ალბათ, მძაფრ კონკურენციას გაუწევს. შეგახსენებთ, „ციურიხი“, რომელიც 19 ქულით დაიწყებს ფინალურ ეტაპს, ლიდერ „სერვეტს“ სამი ქულით, ხოლო მეორე ადგილზე მყოფ „გრასჰოპერს“ მხოლოდ ბურთების უარესი სხვაობით ჩამორჩება.

ვანო ოქროპირიძე

# თასამდე

„ტორპედო“ და „სამგურალი“ მოსამზადებელ პერიოდში ტრადიციულად პაექრობენ და ახლაც გაეჯიბრნენ ერთმანეთს. შაბათს საღორიის საწვრთნელი ბაზის მინდორზე სამასამდე მოსეირის თანდასწრებით ქუთაისელებმა 3:0 მოიგეს. 20 თებერვალს ქუთაისელებს „გორდასთან“, ხოლო წყალტუბოელებს „ვიტ ჯორჯიასთან“ უწევთ თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩების გამართვა და ეს თამაში, თუმც ამხანაგური, მაინც ძალთა მოსინჯვის ერთ-ერთი ბოლო სერიოზული რეპეტიცია გახლდათ ოფიციალური შეხვედრების წინ.

ტორპედოელები თავიდანვე შეეცადნენ ინიციატივის დაუფლებას. გამოუვიდათ კიდევაც. მინდვრის მასპინძლები უფრო ხშირად ფლობდნენ ბურთს და, ერთი შეხედვით, ორგანიზებულადაც უტევდნენ, მაგრამ მეტოქეც მაგრად იდგა. წყალტუბოელები ფიზიკური მომზადების მხრივ ქუთაისელებს ბევრად არ ჩამოუვარდებოდნენ და ნახევარ საათზე მეტი არც მათთვის თამაშში ხელის შეშლა გასჭირვებიათ. დროის ამ მონაკვეთში გუნდებს თითო საგოლე მომენტი ჰქონდათ. ჩხეტიანმა ახვლედიანის ზუსტი გადაცემის შემდეგ თხუთმეტი მეტრიდან მცველს მოარტყა, ჯინჭარაძე კი ჭანტურიასთან პირისპირ გადიოდა, მაგრამ სიჩქარეში ვერ იხეირა.

ტორპედოელებმა ტაიმის მიწურულს გახსნეს ანგარიში. ახვლედიანმა მარჯვნიდან კარგად ჩაუწოდა დაბალი მეგრელაძეს და მანაც, შუა საჯარიმოდან, შეუჩერებლივ დაარტყა მიზანში. „სამგურალმა“ ვერც მეორე ტაიმში ივარგა წინ (გლუნჩაძე და ენდელაძე საიმედოდ იყვნენ ჩაკეტილნი) და ისევ დაცვით იყო გართული. ხაჩირაშვილის კარზე დიდმა დაწოლამ ორჯერაც გამოიღო შედეგი. ორჯერვე იონანიძემ იმარჯვა.

3:0-ზე ქუთაისელებმა ერთდროულად ექვსი შეცვლა გააკეთეს. „ტორპედო“ შემდგომშიც სჯობდა მეტოქეს, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. ამ მატჩში ტორპედოელთა რიგებში მხოლოდ თურქეთიდან ტრავმაგამოყოლილ დათო ჯანაშიას არ უთამაშია. დათო ამ დღეებში მსუბუქად თუ ვარჯიშობს, ექიმები ჯერჯერობით დატვირთვას უკრძალავენ და არც გიორგი მეგრელაძის გოლით „მარგვეთთან“ 1:0 მოგებულ მატჩში მიუღია მონაწილეობა. „ტორპედოსთან“ თამაშს არ დასწრებია წყალტუბოელთა მთავარი მწვრთნელი — გაიოზ დარსაძე გერმანიაში გახლავთ და, როგორც გვაცნობეს, სხვა რამეებთან ერთად იქ „სამგურალის“ ეკიპირების საკითხსაც მოაგვარებს.

იუზა კაციტაძე

# კობიაშვილმა კალაძეს მიბაძა

კახა კალაძისა არ იყოს, გოლების გატანა საქართველოს ეროვნული ნაკრების კიდევ ერთმა მცველმა, ლევან კობიაშვილმაც დაიწყო. კობიაშვილის, ცქიტიშვილისა და იაშვილის „ფრაიბურგი“ კარსმომდგარი ბუნდესლიგის ჩემპიონატის მეორე წრისთვის გამალებით ემზადება. ფრაიბურგელებმა „ლევერკუზენთან“ მეცხრამეტე ტურის მატჩის წინ ბოლო საკონტროლო თამაში გამართეს. შვეიცარიულ „ლუცერნთან“ შეხვედრა ჩვენებურების გუნდმა 1:0 მოიგო. ეს ერთადერთი გოლი კი სწორედ ქართველმა ლეგიონერმა გაიტანა. მცველებისა და ნახევარმცველების შედეგიან თამაშს ახლა „ფრაიბურგისთვის“ განსაკუთრებით დიდი ფასი აქვს, რადგან გერმანულ კლუბს ერთბაშად სამი თავდამსხმელი ჰყავს დაშავებული. თითქოს იაშვილის ტრავმა არ კმაროდა, ცოტა ხნის წინ უკვე ვასმერი და მარკო ვაისჰაუპტიც დაშავდნენ, თუმცა, იაშვილისგან განსხვავებით, ისინი მალე შეუერთდებიან გუნდს.

„ფრაიბურგის“ მთავარი მწვრთნელის, ფოლკერ ფინკეს მსგავსად, კობიაშვილის გოლი, ისევე როგორც კალაძისა, ეროვნული ნაკრების თავკაც ვლადიმერ გუცაევსაც ძალიან გაუხარდებოდა, რადგან იაშვილის გარდა „გრასჰოპერის“ თავდამსხმელი მიხეილ ყაველაშვილიც ტრავმირებულია.

ვანო ოქროპირიძე

# ფედერაციას მფარველები მოუმრავლდა

## ახალი სპონსორი სატელეფონო კომპანია „მეგაკომია“

ახალი ფეხბურთის ფედერაცია არსებული უსახსრობის პირობებში ახალ, მძლავრ სპონსორებს რომ დაეძებს, არახალი ამბავია. დღესდღეობით არსებულ პირობებში, რა თქმა უნდა, ძნელია, ფედერაცია მხოლოდ თავისი სახსრებით და ფიფა-უეფასგან მიღებული შემოწირულობებით აუვიდეს ათასგვარ ხარჯს. გასავალი მეტად დიდია. ამიტომაც გააძლიერა ჟორდანიამ და კომპანიამ მუშაობა სოლიდური სპონსორების მოსაზიდად.

ნაახალწლევს პირველ სპონსორებთან პირველი კონტრაქტებიც გაფორმდა. „ტელესპორტი“, „ეარჯორჯია“, „საქართველოს ავიახაზები“, „ალდაგი“, „კოკა-კოლა“, „ქართუ“, „ყაზბეგი“, „ბორჯომი“, „მერსედესი“, ალკოჰოლური სასმელების კომპანია GWS — ესენი ფეხბურთის ფედერაციას დახმარების ხელს გაუწვდიან.

ახლახან მათ კიდევ ერთი კომპანია შეემატა, რომელიც ქართულ ფეხბურთს მოემსახურება. დანარჩენთან ერთად ფედერაციის სპონსორი „მეგაკომიც“ გახდა. იმედია იგი ქართულ ფეხბურთს ისევ სწრაფად დააკავშირებს მსოფლიოსთან, როგორც ეს ჩვეულებრივი სატელეფონო საუბრისას ხდება.

მამუკა კვანტალიანი

# ქართველები სლავთა ალყაში

როგორც ცნობილია, 20 მარტს თბილისში საქართველოს ეროვნული ნაკრები ამხანაგურად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში IV ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერს, უკრაინის ნაკრებს გაეჯიბრება. ამ მატჩამდე ერთმანეთს ქართველი და უკრაინელი 21-წლამდელებიც შეხვდებიან. მოგეხსენებათ, ქართველები კიევს შარშან ორი გუნდით სტუმრობდნენ. მაშინ ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი უკრაინელ მსაჯთა ბრიგადამ განსაჯა.

უკრაინელებმა შემოთვალეს, ჩვენთვის ეს მატჩები ბევრს ნიშნავს, ამიტომ სასურველი იქნება, თუ მატჩს ნეიტრალური ქვეყნის მსაჯები მოემსახურებიანო. ქართველებიც დაფაცურდნენ, საამმატჩოდ მეზობელი აზერბაიჯანელების მოწვევა სურდათ, მაგრამ დროზე გაიხსენეს, ახალგაზრდებს ხომ თქვენი თანამემამულენი მოემსახურნენ, ახლა ჩვენი, ქართველების რიგიაო. სლავებსაც რაღა ეთქმოდათ, დასტური შემოთვალეს.

სამაგიეროდ ეროვნული გუნდის თავკაც ვლადიმერ გუცაევს უთქვამს, სლოვენიასთან მატჩამდე უკრაინელებს ღირსეულად უნდა დავუხვდე, ამიტომ მსაჯები ნეიტრალური ქვეყნიდან იყვნენ, რაღა შორს წავიდეთ, ჩრდილოელი მეზობლები მოვიწვიოთო. ჰოდა, საქმეც გაიჩარხა. ახლა მხოლოდ ისაა გასარკვევი, კონკრეტულად ვინ გვეწვევა, თორემ ფაქტია, საქართველოსა და უკრაინის ეროვნულ ნაკრებთა მატჩს რუსი არბიტრები მოემსახურებიან.

გიორგი ვაშაკიძე

# ჯიბისკენ და უნგრეთისკენ

თბილისის „ლოკომოტივმა“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში განაცხადი დღეს უნდა წარადგინოს. არადა, ჯერაც გადაუწყვეტელია, ჩემპიონატის მეორე წრეში და თასზე სათამაშოდ რომელი ფეხბურთელების გვარები აცნობონ ფედერაციას.

რამდენიმე დღის წინ „ლოკომოტივს“ ტერნოპოლის „ნივადან“ დაბრუნებულმა შალვა ხუჯაძემ და დინამოელმა ზურაბ არჩვაძემ მიაკითხეს, თქვენთან თამაში გვსურსო, უთხრეს თემურ მახარაძეს. ორმა კახამ, დაუშვილმა და გოგოლაძემ კი მწვრთნელს სრულიად საპირისპირო — გუნდიდან განთავისუფლება სთხოვეს. წამსვლელები თურმე უნგრეთისკენ ეშურებიან, მომსვლელები კი „ლოკომოტივის“ ჯიბეს შესცქერიან, მათ სანაცვლოდ რკინიგზელებს ფულის გადახდა მართებთ.

რას მოიფიქრებენ და რას გადაწყვეტენ, ეს წესითა და რიგით დღეს უნდა გაირკვეს. მახარაძემ ახლავე უნდა იცოდეს, „ბათუმთან“ სათასო მატჩში გასამარჯვებლად ვის ენდოს.

კობა ინასარიძე

# რიგიანი შვიდეული

ქართველებით დახუნძლულ „სკონტოში“ ისევ ცვლილებებია.

ამასწინათ თურქულ „სამსუნსფორში“ აბარგებული არმაზ ჯელაძე ისევ ბალტიისპირულ კლუბს დაუბრუნდა. თურქეთში სატრანსფერო სეზონი ამოწურულა და სამსუნელებიც ჯელაძეს მოლაპარაკების განახლებას მაისისთვის დაჰპირებიან. დღეს „სკონტო“ „ზამთრის თასის“ გათამაშების ფინალში ლიტვის „ეკრანასს“ დაუპირისპირდება და ამ მატჩში სტარკოვი ჯელაძის იმედად ყოფილა. ბალტიისპირელთა მწვრთნელს თავდასხმის ხაზში სერიოზული პრობლემა გაჩენია — ორიოდ დღის წინ ლატვიური გაზეთები „სკონტოსა“ და ქვეყნის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის მარიან ჰახარსის პრემიერლიგაში გადაბრგებას იუწყებოდნენ. ჰახარსმა თავისი ბედი აუტსაიდერ „საუთჰემპტონს“ დაუკავშირა. ჯელაძე ისრაელში შეკრებას დანარჩენ ექვს ქართველთან (სილაგაძე, რეხვიაშვილი, გრიშიკაშვილი, ჯაბუა, მენთეშაშვილი, კორღალიძე) ერთად გაივლის.

პაატა კვანტალიანი

# ძმობა, ერთობა, მსაჯობა

როგორც ჩანს, ამიერკავკასია გაერთიანდება და ყოფილ საბჭოეთის მოძმე ერებს ერთი საქმეში მაინც მოუწევთ საზოგადო ფიქრი. თუ რატომ, ამას ახლავე გეტყვით. არ იფიქროთ, საქმე პოლიტიკას ეხებაო, არა, ლაპარაკია საქართველოს და აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციების შეთანხმებაზე. მას ქართველთა მხრიდან რატიფიცირება უკვე მოჰყვა, პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას უცხოეთში ყოფნისას ბეჭედი გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ დაასვა.

აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარე ხაგანი მამედოვმა თავის ქართველ კოლეგა ანატოლი მილჩენკოს ფაქსი გამოუგზავნა, სადაც შავით თეთრზე წერია, გვინდა, ვითანამშრომლოთ, იქნებ ორივე ქვეყანაში სამსაჯო დონის ასამაღლებლად არბიტრების გაცვლა-გამოცვლა მოგვეწყოო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შიგადაშიგ ქართველები აზერბაიჯანის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებს მოემსახურებიან, აზერბაიჯანელები კი — ჩვენსას. კარგია ეს, თუ ცუდი, მომავალში გამოჩნდება, მანამდე კი ერთის თქმა შეიძლება, არა გვგონია, ქართველებმა აზერბაიჯანის ჩემპიონატის მატჩების მომსახურებით კლასი აიმაღლონ. ანუ ისეთ ჩემპიონატში მუშაობით, რომლის ფაქტობრივი გამარჯვებული ერთი ხდება, ფედერაცია კი იურიდიულ ჩემპიონად მეორეს, ანუ 18-წლამდე პირველობის გამარჯვებულს ამტკიცებს. თუმცა ეს ხომ ჩვენი, ჟურნალისტთა გადასაწყვეტი არ არის... ერთი კია, შეთანხმებას რაკი ბეჭედი დაესვა, ესე იგი ძალაშიც შევა, მის ამოქმედებას კი მარტის პირველი რიცხვებიდან აპირებენ.

ცნობილი გახდა ისიც, რომ ასეთი შეთანხმების სურვილი ჩვენმა სამხრეთელმა მეზობლებმა, სომხებმაც გამოთქვეს. ასე რომ თუ ჩვენი ფედერაცია თხოვნაზე მათაც დაყაბულდა, დიდი ყურადღების გამოჩენა მოუწევს, შერეულმა წყვილებმა დამატებითი პრობლემები რომ არ შეუქმნას.

სხვათაშორის, ახალი ფედერაციის თანმხვედრი მოწადინება, ქართულ ფეხბურთში სიახლე არაა. 1991 წელს საქართველოს ჩემპიონატის ოთხი მატჩი ამდენივე ლიტველმა არბიტრმა, დუდინსკასმა, კაზლაუსკასმა, მაცკიავიჩუსმა და სლივამ იმსაჯეს.

გიორგი ვაშაკიძე

# არსენალი არსენალს ივსებს

თბილისის „არსენალის“ სამეორეწრეო სამზადისის შესახებ არაერთხელ გაუწყეთ. არმიელებმა არდადეგები საკმაოდ ნაყოფიერად გამოიყენეს. ცოტა ხნის წინ ბურგარეთშიც იყვნენ ორკვირიან შეკრებაზე, იქიდან დაბრუნებულებმა კი სამი საკონტროლო მატჩის გამართვაც მოასწრეს, რომელშიც კიდევ ორი ახალი ფეხბურთელი გამოსცადეს. მეორე ჯგუფის ლიდერ „აკადემიასთან“ შეხვედრაში გუნდის მთავარმა მწვრთნელმა მამუკა გეგეჭკორმა ყოფილი მრეტის გიორგი ირემაშვილის მზადყოფნა შეამოწმა. მატჩი „არსენალმა“ 3:1 მოიგო. ამირიძის, ზირაქიშვილისა და ყოლბაიას სამ გოლს აკადემიელმა ბახტაძემ პენალტიდან გატანილი ბურთით უპასუხა. ზირაქიშვილს დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ, ბახტაძისგან განსხვავებით, თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა. ირემაშვილსაც ურიგოდ არ უთამაშია. ამის შემდეგ „არსენალი“ პირველჯგუფელ თსუ-ს შეხვდა ორჯერ. პირველად არმიელებმა 2:0 დაამარცხეს სტუდენტები, მეორედ კი — 5:2. ამ მატჩებში „არსენალის“ შემადგენლობაში დემურ კაკუბავაც გამოჩნდა, რომელიც პირველ წრეში სწორედ თსუ-ს ღირსებას იცავდა.

არმიელთა მთავარი მწვრთნელი ორივე ახალწვეულით კმაყოფილი დარჩა და სამეორეწრეო განაცხადშიც შეიყვანა.

ვანო ოქროპირიძე

# იბერიელთა ყირიმული თავგადასავალი

*როგორც ცნობილია, ჩვენი პირველჯგუფელი სამტრედიის „იბერია" თებერვლის პირველ ნახევარში ყირიმს სტუმრობდა. იმერლები იქ ავტოკატასტროფაში დაღუპული სიმფეროპოლის „ტავრიის" და კიევის „დინამოს" ყოფილი მეკარის ვიქტორ იურკოვსკის სახელობის ტურნირში მონაწილეობდნენ და, სხვათა შორის, ურიგოდაც არ გამოსულან. „იბერიამ" ხუთი შეხვედრიდან ორი მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და ერთი წააგო. წესითა და რიგით, ჩვენებურთ მეექვსე მატჩიც უნდა ეთამაშათ, 12 თებერვალს დასკვნით ტურში ისინი ტურნირში ვადამდე გამარჯვებულ ყირიმის სამოყვარულო ლიგის უძლიერეს გუნდს, უკრაინის მეორე ლიგაში გადასასვლელად მებრძოლ სიმფეროპოლის „დანიკას" უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ თამაში არ შედგა. ალუშტაში სტადიონის დირექციამ ორივე გუნდს მოედნის იჯარაში მიულებელი თანხის გადახდა მოთხოვა და ესენიც ზედმეტ ხარჯს მოერიდნენ. „იბერია" იმ დღესვე შინ გამობრუნდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი სოსო ფრუიძე სწორედ ვიქტორ იურკოვსკის სახელობის ტურნირის შესახებ გვესაუბრა.*



სოსო ფრუიძე

— ახლო წარსულში ცნობილი გოლკიპერის ვიქტორ იურკოვსკის სახელობის ტურნირი ყირიმში ტრადიციულად იმართება. საქართველოდან პირველად ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა, — გვითხრა ფრუიძემ — ყირიმში 1 თებერვალს საღამოს ჩავედით. იალტის ცენტრში, სასტუმრო „კიევში" დავბინავდით. მეორე დღეს ორჯერ ვივარჯიშეთ და ამის შემდეგ წვრთნის შესაძლებლობა აღარ გვქონია — ცხრა დღეში ექვსი თამაში ჩავატარეთ. ტურნირში „იბერიას" გარდა უკრაინული უმაღლესი და პირველი ლიგის ექვსი გუნდი ასპარეზობდა. წრიული სისტემით ვთამაშობდით.

პირველი მატჩი ივანოვო-ფრანკოვსკის „პრიკარპატიესთან" გვქონდა. თავიდან ვაგებდით. მერე ვასო გიგიაძემ გაათანაბრა და უპირატესობასაც დავეუფლეთ. ვასო კიდევ ორჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ, მის გარდა ვარდიაშვილს და ასათიანსაც უნდა გაეტანათ, მაგრამ არ გაგვიმართლა. სულ ბოლო წუთზე, პირიქით, აქეთ მივიღეთ ბურთი და დავმარცხდით 1:2. კრივოიროგის „კრივბასი" ალუშტაში, ტურნირი ამ ქალაქში იმართებოდა, ორი შემადგენლობით იყო ჩამოსული. ჩვენს წინააღმდეგ ძირითადი გამოვიდა. საინტერესო, დაძაბული თამაში იყო. ვასო გიგიაძის გოლით გავიმარჯვეთ. ჩვენთან მარცხის შემდეგ „კრივბასმა" ახალგაზრდული შემადგენლობით ერთიც რომ წააგო „პრიკარპატიესთან", ტურნირში თამაშის გაგრძელება საერთოდ აღარ ისურვა. მესამე თამაში ფრედ 0:0 დავასრულეთ საკმაოდ გამოცდილ ვინიცის „ნივასთან". 8 თებერვალს სიმფეროპოლის „დანიკას" უნდა შევხვედროდით, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზით თამაში 12-ისთვის, ბოლო ტურისთვის გადაიტანეს. ამიტომაც ჩვენი რიგით მეოთხე მეტოქე კიროვოგრადის „ზირკა-ნიბასი" გახლდათ. თამაში კარგად აგვეწყო, საგრძნობი უპირატესობა გვქონდა, განსაკუთრებით მეორე ტაიმში და საბოლოოდ 3:1 მოვიგეთ. ორი ვასო გიგიაძემ შეაგდო, ერთი გივი ქველაძემ. ჟიტომირის „პოლესიეს" არტეკში ვეთამაშეთ ავდარში. მატჩი უგოლოდ დამთავრდა. ამ შეხვედრის შემდეგ 8 ქულა დაგვიგროვდა. ბოლო მატჩში, როგორც ვთქვი, „დანიკას" უნდა შევხვედროდით. ეს მეტად შეძლებული, პერსპექტიული, ახლადშექმნილი კლუბია. მოთამაშე პრეზიდენტი ჰყავს. „დანიკა" ყირიმის სამოყვარულო ლიგას ლიდერობს და სულ მალე, ალბათ, უკრაინულ მეორე ლიგასაც მოევლინება. სიმფეროპოლელებმა ძლიერად ითამაშეს ტურნირში და ვადამდე გაინაღდეს პირველი ადგილი. მათთან შეხვედრა ჩვენთვის საინტერესოც იყო და მნიშვნელოვანიც. გამარჯვების შემთხვევაში მეორე ადგილზე გავდიოდით. 12 თებერვალს სათამაშოდ მოვემზადეთ. ალუშტის სტადიონს მივადექით და... არც ჩვენ და არც „დანიკა" მოედანზე არ შეგვიშვეს. საიჯარო ფული მოგვთხოვეს. ჩვენ ამის შესახებ წინასწარ არავის გავუფრთხილებივართ, თანაც ყოვლად მიულებელი თანხა დაგვისახელეს. ერთი სიტყვით, თამაში არ შედგა. რომ არ გამომრჩეს, 11 თებერვალს სათადარიგო შემადგენლობით ერთი ამხანაგური მატჩიც გავმართეთ იალტაში ამავე სახელწოდების სამოყვარულო გუნდთან და 4:1 მოვიგეთ. ბურთები ფილიპაშვილმა, ყურაშვილმა (ორივე საჯარიმო დარტყმით) და ივეჩიანმა გაიტანეს.

**— საერთო ჯამში კმაყოფილი ხართ ყირიმში ყოფნით?**

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. ასეთ სათამაშო პრაქტიკას ადგილზე ვერ მივიღებდით. სხვადასხვა სათამაშო სტილის გუნდებს შევხვდით, ბიჭები გამოვცადეთ. ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის წინ გუნდის ძირითადი ბირთვი გამოვკვეთეთ.

იალტაში კარგ პირობებში ვიყავით, რასაც, თავისთავად, კლუბის პრეზიდენტს ნუგზარ ნიკოლაიშვილს უნდა ვუმადლოდეთ. მაგრამ იქ ერთი კაციც არ გვაკლებდა ყურადღებას. ჩვენი ვეტერანი სამთომოთხილამურე სოსო ნასყიდაშვილი მყავს მხედველობაში. იგი ახლა იალტაში ცხოვრობს, ქალაქის ტურიზმის სამმართველოს უფროსის მოადგილეა და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს. საერთოდ, იალტაშიც და ალუშტაშიც, ბევრ ჩვენებურს უცხოვრია. ჩვენს თამაშებზე მოდიოდნენ, გვამხნევებდნენ.

**— რამდენადაც ვიცით, სეზონთშორის პერიოდში ყირიმში ბევრი გუნდი ემზადება...**

— ამას ბუნებრივი პირობები უწყობს ხელს. ჩვენი იქ ყოფნისას საკმაოდ თბილოდა. ნახევარკუნძულზე მეტწილად უკრაინული და რუსული კლუბები იყრიან თავს. ერთია, სავარჯიშო მოედნების სიმცირეა, თორემ სხვამხრივ ყირიმში წვრთნის საუკეთესო პირობებია.

**— იქ ჩვენი ბიჭებით ხომ არავინ დაინტერესებულა?**

— ვასო და სოსო გიგიაძეები თავიდანვე მოექცნენ ყურადღების ცენტრში. ტყუპებმა ყველა თამაში მაღალ დონეზე ჩაატარეს. „პრიკარპატიეს" მთავარ მწვრთნელს ანატოლი ზაიაევს გაუჩნდა მათი გადაბირების დიდი სურვილი, იგი ესაუბრა კიდეც ძმებს. ეს ტრანსფერი არ არის გამორიცხული, ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა. სხვათა შორის, „პრიკარპატიეს" ერთი ქართველი უკვე ჰყავს, გუნდში სიმფეროპოლის „ტავრიიდან" წამოსული ივანე ჯულელი მიუღიათ. ჩვენს წინააღმდეგ მას არ უთამაშია, სხვა მატჩებში კი კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ძმებ გიგიაძეებით სხვა კლუბებიც დაინტერესდნენ. მათი შეძენის დიდი სურვილი ნიჟნევარტოვსკის „სამოტლორის" მწვრთნელმაც გამოთქვა.

**— 48 საათს ნამგზავრ გუნდს ცოტას, ალბათ, დაასვენებთ?**

— დღენახევარი საკმარისი უნდა იყოს. სამშაბათიდან ისევ დიდი ჯიხაიშის ბაზაზე ვართ. მეორე წრის დაწყებამდე ერთ საკონტროლო თამაშს გავმართავთ.

**— ახლებიდან ვის დაიტოვებთ გუნდში, გადაწყვეტილი გექნებათ?**

— არჩევანი დიდი არა გვაქვს. მთავარი გუნდის განაცხადში გივი ქველაძე, ლევან ფილიპაშვილი, ოთარ ვარდანიძე, რევაზ კვერნაძე, მალხაზ ასათიანი თუ იქნებიან. დანარჩენებს ჯერჯერობით ფარმკლუბში ჩავრიცხავთ.

**— კვერნაძეზე და ასათიანზე უნდა გკითხოთ. ამათ „ტორპედოდან" არ უშვებენ და თქვენ როგორ ათამაშებთ?**

— ეს ბიჭები ჩვენთან მშობლებმა მოიყვანეს, „ტორპედო 2"-ს „იბერია" გვირჩევნიაო. კვერნაძის და ასათიანის საკითხი ვიდრე ფედერაციის გასარჩევი შეიქნებოდეს, სჯობს კლუბებს შორის მოლაპარაკების შედეგად გადაწყდეს.

**იუზა ძაციტაძე**

# ვიაროთ, ვიაროთ, ვიაროთ... ვაი!

## ქართველი ფეხბურთელები მსოფლიოს მოედნენ

ბოლო დროს ქართველ ლეგიონერთა რიცხვმა საგრძნობლად იმატა. უფრო სწორად, მოხეტიალე, კარდაკარ მოარული ფეხბურთელები მოგვიმრავლდნენ. ოღონდ აქედან გააღწიონ, ოღონდ ეროვნულ ჩემპიონატში არ ათამაშო და ყველაფერზე ყაბულს არიან.

სად არ შეხვდებით ქართველ მობურთალს. ყველგან, სოლიდური საფეხბურთო ქვეყნის გარდა. ამას რომ ვამბობთ, რა თქმა უნდა, იმ ორიოდ გამონაკლისს არ ვგულისხმობთ, რომელთაც ბედმა გაუღიმათ და სახელიან კლუბებში გაიჩარხეს კონტრაქტები. მათი გარჯა საერთოდ საქმეს ვერ შველის. ფხიანი პატრონი რომ არა, ისინიც დანარჩენებივით ალმა-დალმა ივლიდნენ.

ქართველებმა სრულად ავითვისეთ რუსეთის საფეხბურთო ლიგები, ჩვენებურები აზიაშიც გაჭრილან, აფრიკაშიც არიან ნამყოფი. ახლა ოკეანის გაღმაც მოვსინჯავთ ძალებს. რა თქმა უნდა, ჩვენებურთა უმეტესობა დაბალ ლიგაში ბურთაობით იქცევს თავს და ლუკმა-პურს შოულობს.

მიდიან ბიჭები, ნიჭიერი, იმედისმომცემი ახალგაზრდები შაურად იყიდებიან, თან სად, ამერიკულ ლიგაში და ბელგიის მესამე დივიზიონში, საიდანაც ზრდას და სიკეთეს ნაკლებად უნდა ელოდე. ასე უსახელოდ იკარგებიან ქართველი ფეხბურთელები. თითქმის ვერც ერთმა ვერ მოიწყო საფეხბურთო ცხოვრება. მუდმივ კონფლიქტებსა და გაურკვევლობაში მყოფი ჩვენი ფეხბურთელების კლუბთა უმრავლესობა ან ლიგის აუტსაიდერია, ანაც დღე-დღეზე გადაინაცვლებს უფრო დაბალ ლიგაში.

უკუსვლაა, აბა, რა ჯანდაბაა დავით მუჯირის „მეტროსტარზში" გადასვლა. მაშინ, როცა იტალიური „იუვენტუსის" ახალგაზრდულ გუნდში დავაჟკაცების შანსი გეძლევა, ამერიკას არ უნდა დახარბდე. ის მაინც უნდა იფიქრო, რომ „იუვენტუსის" სკოლაგავლილს ბევრი ევროპული კლუბი სიამოვნებით გაგიღებს კარს. მუმუმ მაინც ამერიკა ირჩია.

გიორგი კიკნაძეს „რასინგ მეხელენში" რა დარჩენოდა, თავი რომ დაადო და წავიდა. ჟორიკა ხომ გაცილებით მეტს იმსახურებდა. ბელგიაში ლევან ცქიტიშვილიც წავიდა, ბურთი ორჯერ



მოუწყობელმა საფეხბურთო კარიერამ საქართველოს ნაკრებს ბევრი კარგი მოთამაშე დაუკარგა

გააგორა და ბუნდესლიგის „ფრაიბურგში" ამოჰყო თავი. ცქიტომ თქვას, „მეხელენი" ტრამპლინად, უფრო სწორად, აქაური კოშმარისგან განსატვირთად გამოვიყენეო.

რატომ უნდა ჰქონდეს ისეთ ნიჭიერ და ბევრისშემძლე ფეხბურთელს, როგორიც გოჩა ჯამარაულია, ამდენი საფეხბურთო პრობლემა? ჯამარას ერთი ნორმალური კლუბის მოძებნა რატომ უნდა გასჭირვებოდა? ფაქტია, გაუჭირდა და ახლა, მგონი, შვეიცარიულმა „ციურიხმა" უშველა — ხუთი თვით სათავისოდ დაიბევა და თუ „ტრაბზონსფორს" დანარჩენისასაც გადაუხდიან, გოჩაც ითამაშებს, არადა, ისევ გაურკვეველი იქნება ჩვენებურის სამომავლო კარიერა.

კი მაგრამ, რატომ ხდება ასე, რატომ გაუფასურდნენ ქართველი მობურთალეები მსოფლიოს საფეხბურთო ბაზარზე? პასუხი ძალიან მარტივია. ჩვენებურებს პატრონი არ უვარგათ. ვისაც გამოუჩნდა, იმან ცხოვრება უკვე მოიწყო. შეიძლება სულაც არ ეფეხბურთებათ, მაგრამ მაინც ხომ თამაშობენ. ხალხს იმედის ნაპერწკალს უნარჩუნებენ.

პატრონი არ არისო, ვთქვით. რა თქმა უნდა, პატრონში ლიცენზირებული საფეხბურთო აგენტი იგულისხმება, რომელმაც ფრიად იცის თავისი საქმე და შუამავალია საფეხბურთო კლუბსა და მოთამაშეს შორის.

კი გვყავს ერთადერთი ასეთი კაცი ქართველებს, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელებისთვის დიდად სანუგეშო არაფერია. ყოველ შემთხვევაში, საქმეს დიდად არც ეტყობა.

ისევ დანიელი ივან ბენეშის და ბერძენი ბამბოს კონსტადინიდისის იმედად არიან ჩვენი ლეგიონერები. საქართველოში კი ყველა აგენტ-მენეჯერობას იბრალებს. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი ულიცენზიოა.

წელიწადში ორჯერ დააკომპლექტებენ ჯგუფს და მიდი... ტრასები ზედმიწევნით აქვთ შესწავლილი. თურქეთიო, რუსეთიო, კვიპროსიო. სხვაგან ხელი არ მიუწვდებათ.

დროის შერჩევა კარგად ეხერხებათ ჩვენებურ ვაი-მენეჯერებს. ისეთ დროს მიიყვანენ ფეხბურთელებს კლუბში, როცა გუნდი უცხოურ შეკრებაზეა წასული, ხოლო კლუბის წარმომადგენელთაგან ოდენ ოფისის მდივანილა შერჩებათ ხელთ.

ელის მენეჯერ-ფეხბურთელი გუნდის დაბრუნებას. ხარჯი ხარჯად, დროც იკარგება, რომელიც ზოგჯერ ფულზე ძვირფასია. ჩამოვა ის გუნდი შეკრებიდან, ცხადია, უკვე დაკომპლექტებული. ყველა იმედიც გადაწურულია.

ზოგჯერ მოხდება, მოაწონებს ჩვენებური ფეხბურთელი თავს უცხოელ მწვრთნელს, ქართველი აგენტიც ყინჩად მიუჯდება მაგიდას და კლუბის თავკაცებს მოლაპარაკების დაწყებამდე მიახლის — ასი ათასი მე უნდა მომცეთო. გაგიჟებულაო, უცნაურად შეხედავენ თანამოსაუბრეს და მოლაპარაკებაც აქ მთავრდება.

არაერთი ასეთი ვინმე „პატრონობს" ჩვენს ფეხბურთელებს. ჩამოვლენ და მერე ჩვენ, ჟურნალისტებს გვიხდება ათასგვარი სისულელის მოსმენა — პირობებმა არ დამაკმაყოფილა, მოტყუებას ცდილობდნენ, სიზმარი ვნახე ცუდი და ასე შემდეგ.

ფეხბურთელებმა კი ჭკუა ვერაფრით ისწავლეს. დადიან, დადიან დაუსრულებლად. ხან თოვლი შეაფერხებთ, უცხოეთში მსუბუქი ავტომანქანებით ამგზავრებულებს, ხანაც პოლონურ სასტუმროებში იცდიან უიმედოდ, მთელი დღის ნაშიმშილევი, ვინმე ნანავასგან მოტყუებულნი. უკეთეს შემთხვევაში, აგენტი თუ პატიოსანი კაცი გამოდგა, აჭმევს კიდეც და უკანაც თავისი ხარჯებით ჩამოჰყავს, მაგრამ ამ დროს თავად აგენტი იძახის ვაი, ვაის!

დადიან ფეხბურთელები, ყველასი და ყველაფრის სჯერათ. გასაჭირს არ ეპუებიან, ოღონდ კი აქაურობას თავი დააღწიონ. ეროვნული ჩემპიონატის გაგონებაც არ სურთ.

კი ბატონო, ვიაროთ, ვიაროთ დაუსრულებლად, მაგრამ ტყუილი სიარულით ავითვისებთ მსოფლიო ბაზარს? აი, ეს არის საკითხავი.

**მამუკა ძგანტალიანი**

# გოჩა ჯამარაული ფეხბურთში დარჩა



... სამაგიეროდ კი ერთსა და იმავეს ბევრი ლაპარაკობს — ეგ ბიჭი თავს ძალად ილუპავს, დიდი ფეხბურთის სათამაშოდ ყველა მონაცემი აქვს, არც თავს ზოგავს, არც შრომას ერიდება, მონდომებულიც არის, მაგრამ... რა მაგრამო, იკითხავს მეორე, თუმცა პასუხს ვერ მიიღებს.

ასე იყო და ასე არის. ასე ლაპარაკობდნენ გოჩა ჯამარაულის „დინამოში" თამაშის დროსაც, იგივეს — „ალანიაში" და „ტრაბზონში" ყოფნისას. ახლაც მისი „ციურიხში" ჩარიცხვისასაც იგივეს გაიგონებთ და გუშინაც ასე ვთქვით. ჯამარაულს რომ ვუთხარით, თავს ძალად რად ვნებო, ალალად კი მოგვიგო — კაცს ფეხბურთელი რომ გქვია, ცოტა ბედიც უნდა გწყალობდესო... რომელ ბედზეა ლაპარაკი, კარგად გეცოდინებათ. ბედია აბა, რა, გუნდში ახალი მწვრთნელი რომ დაინიშნება და იმ დღესვე ფეხბურთელზე იტყვის — ამას არ ვათამაშებ, ჯობს სხვაგან წავიდესო. დიახ, თურქულ „ტრაბზონზე" ვამბობთ, იმ „ტრაბზონზე" გოჩა ჯამარაული რომ დატანჯა.

...და ესეც ბედია — დღეს უკვე ჩვენებური, შვეიცარიული „ციურიხის" 30-ნომრიანი ფეხბურთელია.

# ჩვენებურს ციურიხმა უშველა

— ციურიხელებთან ჯერჯერობით ხუთთვიანი კონტრაქტი გავაფორმე და სეზონის ბოლომდე მათთან ვითამაშებ — გვითხრა საპასპორტო საქმეების მოსაგვარებლად თბილისში ჩამოსულმა ჯამარაულმა — არის შანსი, რომ „ციურიხთან" სამ წელიწადსაც დავრჩე. ყველაფერი „ტრაბზონზე" და ფიფაზეა დამოკიდებული.

**— შეგიძლია, ყველაფერში დეტალურად გაგვარკვიო. რატომ ითხოვენ თურქები შენს სანაცვლოდ 500 ათასს?**

— რა ვიცი, ვითომ საკომპენსაციოდ. თუმცა ამავდროულად მათ ჩემი ვალიც აქვთ, რამდენიმე თვის ხელფასი უნდა მომცენ. ფიფამ „ტრაბზონს" წერილი მისწერა და მოსთხოვა, რომ კუთვნილი გადამიხადონ. ეს, ალბათ, ასეც იქნება, მაგრამ არის მეორე გაუგებრობა. შვეიცარიელები თურქებს 500 ათასს არ უხდიან — არ გერგებათ, თქვენ ფეხბურთელს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები დაურღვიეთო — ასე ეუბნებიან. თურქები ვირზე შეჯდნენ. „ციურიხმაც" არ დააყოვნა და ფიფას მიმართა. „ტრაბზონს" ჯიუტობა შეიძლება ძვირად დაუჯდეს. არაა გამორიცხული, 500 ათასი 100 ათასამდე ჩამოვიდეს. არადა, ციურიხელები მათ საერთო ენის გამონახვას სთავაზობდნენ. მოკლედ, ბოლო სიტყვა ფიფაზეა — რასაც ისინი იტყვიან, თურქები იმდენს მიიღებენ.

**— თავად არ გისაუბრია ტრაბზონელებთან?**

— არა, მათთან ყველანაირი ურთიერთობა გავწყვიტე.

**— კი მაგრამ, რას გერჩის „ტრაბზონი"? რად გაწვალებს?**

— ეგ ცალკე ლაპარაკის თემაა. როცა თურქეთში გადავედი, ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი. ხშირადაც ვთამაშობდი, მაგრამ მოულოდნელად მწვრთნელი შეგვიცვალეს. გუნდში ილმაზი მოვიდა და თქვა, ჯამარაულს არ ვათამაშებო. მწვრთნელია და საქმისა უკეთ იცის-მეთქი, ვიფიქრე. განვაგრძობდი ვარჯიშს, მეტად მონდომებული ვიყავი, ვცდილობდი, დამემტკიცებინა, რომ ძირითადს ვიმსახურებდი. იმ კაცს კი ათვალწუნებული ვყავდი. ამას ფინანსური პრობლემებიც დაერთო. კლუბმა ხელფასი არ მომცა. ილმაზმა კი შოთა არველაძეს უთხრა — ჯამარაულს ჯობს, სხვა გუნდში გადავიდესო. მერე თბილისში ჩამოვედი და ორი კვირა დამაგვიანდა ტრაბზონში შეკრებაზე ჩასვლა, შეუძლოდ ვიყავი. ბოლოს ჩავედი თურქეთში და კლუბში მითხრეს, რატომ დააგვიანე, 60 ათასით გაჯარიმებთო. ახლა სხვა გუნდში გაგანათხოვრებთო, დააყოლეს. მწვავე საუბარი გვქონდა. ამასობაში ილმაზიც მოხსნეს. ვითომ კლუბიც შემირიგდა. ისევ დავიწყე თამაში და მოულოდნელად ისევ პრობლემები. ისევ უხელფასობა.

მერე კონტრაქტიც დამიმთავრდა და თბილისში ჩამოვედი. თუმცა რა, მე კი ჩემი დამემართა. აი, ეს იყო. რას მერჩოდნენ ტრაბზონელები, ვერ გამიგია. მხოლოდ ერთს ამბობდნენ, ფირმა რომელიც სპონსორობას გვიწევს, ფულს არ გვირიცხავს და ხელფასსაც ამიტომ ვერ გაძლევთო. მიდი და დაიჯერე.

**— ლამის ნახევარი სეზონი რომ უგუნდოდ იყავი, ესეც „ტრაბზონის" ბრალია?**

— ნაწილობრივ ასეა. ამ ხნის მანძილზე მეგონა, ვინმე დაინტერესდებოდა ჩემი თამაშით. მენეჯერიც თითქმის ყოველდღე მირეკავდა და მეუბნებოდა ახალახალი კლუბების სახელებს. მეც მორჩილად ყურს ვუგდებდი, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

**— „ციურიხში"?**

— ეგ ჩემი დამსახურებაა. არის ერთი კაცი — მარსელ შმიდტი, რომელმაც შვეიცარიაში ჩამიყვანა. დანარჩენი თავად გავაკეთე.

**— აქამდე რომ გაგეკეთებინა, არ შეგეძლო?**

— ხომ გითხარით, მენეჯერის იმედად ვიყავი.

**— „სევილიაში" რატომ არ წახვედი? იქ ხომ გელოდნენ.**

— ესპანელებს იჯარა სურდათ. „ტრაბზონს" ასე მოელაპარაკნენ. ჩემთვის კი მიუღებელი იყო.

**— როგორც უნდა ვთქვათ, მაინც წაგებული თავად გამოხვედი, ნახევარი სეზონი გაგიცდა.**

— ამას მეც ძალიან განვიცდიდი. ფსიქოლოგიურად მოქმედებდა. ერთხანს იმასაც ვფიქრობდი, ფეხბურთს საერთოდ შევეშვები-მეთქი. კიდევ კარგი, „ციურიხში" თამაშის საშუალება მომეცა. ეს ვარიანტიც რომ ჩაშლილიყო, რა ვიცი, გეუბნებით, ბუცებს გვერდზე გადავდებდი.

**— და დამნაშავე ვინ იქნებოდა?**

— ჩემი ბრალი არ არის, რომ საქმე აქამდე მივიდა, ჩემს უთამაშებლობას ქომაგები რომ განიცდიდნენ, წარმოიდგინეთ, მე რა დღეში ვიყავი.

**— უგუნდობის პერიოდში თუ ვარჯიშობდი?**

— როგორ არა. აბა, ისე რა გამაძლებინებდა. ყოველდღე დილმის ბაზაზე ვცდილობდი სათამაშო ფორმის შენარჩუნებას. მერე შინ დავბრუნდებოდი და მენეჯერი მირეკავდა, ახალი კლუბის ვინაობას მიმხელდა.

**— რომელ გუნდებზე იყო ლაპარაკი?**

— ერთი დიდი შეცდომა დავუშვი. ზაფხულში ინგლისური „ბრისტოლ სიტი" მეპატიჟებოდა. ფაქტობრივად ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, ინგლისშიც კი ჩავედი, მაგრამ... მათ ერთხელ თამაში შემომთავაზეს. მე ვიუარე. მაშინ რომ „ბრისტოლში" გადავსულიყავი, ახლა სხვა კლუბში ვიქნებოდი.

**— „ციურიხი" არ გაკმაყოფილებს?**

— როგორ არა, მაგრამ იმედი მაქვს, კიდევ უკეთეს გუნდში გადავალ. „ციურიხს" დიდი მიზნები აქვს. წლეულს ჩემპიონთა ლიგაში შვეიცარიიდან ორი გუნდი მიიღებს მონაწილეობას, ერთ-ერთი ჩვენ უნდა ვიყოთო, ასე მითხრეს. პერსპექტივას ნამდვილად ვხედავ, კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდია.

**— „ბრისტოლ სიტიში" ერთხელ თამაში იუარე, კონტრაქტს გაფორმებამდე „ციურიხთან" ერთად თითქმის 20 დღე ივარჯიშე...**

— სხვა რა გზა მქონდა? ჩემი „ციურიხში" თამაში მწვრთნელ რაიმონდო პონტესაც სურდა. მათთან ვარჯიშებისას მეტად მოვეწონე, ესპანური შეკრების დროს სამჯერაც მათამაშა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შვეიცარიაში დავრჩენილიყავი.

**— ამდენი ხნის უთამაშებელი როგორ ფორმაში ხარ?**

— თავს ნორმალურად ვგრძნობ. უგუნდობის კვალი ოდნავ კი მეტყობა, მაგრამ არა უშავს, მოევლება. ესპანური შეკრება ძლიერ წამადგა, პონტემაც ეს მითხრა.

**— შენს ჩვეულ ადგილას გათამაშებს?**

— „ციურიხი" 4-4-2 სისტემით თამაშობს. თავდამსხმელებსა და შუა ხაზს შორის უკეთ გამოგიყენებო, მითხრა მწვრთნელმა.

**— სამწლიანი კონტრაქტის ამბავი როდის უნდა გადაწყდეს?**

— როცა ფიფა საბოლოოდ დაადგენს, „ციურიხისგან" თურქებს რამდენი ერგებათ, კონტრაქტზეც მერე მოვილაპარაკებთ. თუ შვეიცარიელებს 100 ათასის გადახდა მოუწევთ, მაშინ პირობები ჩემთვის გაცილებით ხელსაყრელი იქნება, 500 ათასის შემთხვევაში — შედარებით უარესი.

**— ახალ კლუბში როდის უნდა ჩახვიდე?**

— დღე-დღეზე ვიზას ველი. საქმეს ისიც აჭიანურებს, რომ შვეიცარიის საელჩო თბილისში არ არის და იძულებული ვარ მოსკოვში ჩავიდე. 20 თებერვალს ჩემპიონატის მატჩი გვაქვს.

**კობა ინასარიძე**



გოჩა ჯამარაული კვლავ ბურთთანაა



ქართველ მსაჯებს ასე არასდროს გასჭირვებიათ

# პირველად ცხრა წლის მანძილზე

## მსაჯები დემოკრატიულობას ეჩვევიან

**გუშინ** ქართული ფეხბურთი ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, მაგრამ ნამდვილად უჩვეულო დღის მომსწრე შეიქნა. საქმე ეროვნული თასის მეოთხედფინალურ მატჩებზე კენჭისყრით დანიშნულ მსაჯებს ეხებათ. უკანასკნელი ცხრა წლის მანძილზე პირველად მოხდა, რომ მსაჯები წინასწარ არ დაუდგენიათ. ყოველივე საჯაროდ, ჟურნალისტების თვალწინ მოხდა.

თავად წილისყრას კი ფეხბურთის ფედერაციის ამჟამინდელი ნავსაყუდელის ნაცვლად სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზმა უმასპინძლა. მას სამსაჯო და საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო ხელმძღვანელობდა. წილისყრის მომწყობ და საბოლოო შედეგების დამტკიცების პრეზიდიუმში ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ჩივაძე, საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე ბადრი ქარქაშაძე და სამსაჯო კომიტეტის წევრები შედიოდნენ.

კენჭისყრა დღის 12 საათზე დაიწყო. ანატოლი მილჩენკომ შესავალ სიტყვაში ახლახანს ჩატარებული მსაჯთა ტესტირების შედეგები მიმოიხილა, შემდეგ კი დღის წესრიგის მთავარ საკითხსაც შეეხნენ. თასის მეოთხედფინალური შეხვედრების მაღალორგანიზებულ დონეზე ჩასატარებლად მსაჯები გამოცდილების, პროფესიონალიზმის და ტესტირებებზე გამომჟღავნებული როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნის დონის მიხედვით შეირჩნენ. ესენი იყვნენ: ზუგდიდელი სერგო კვარაცხელია, სურამელი თამაზ ლაცაბიძე, ლანჩხუთელი ოთარ გუნთაძე და ქუთაისელი ავთანდილ შალამბერიძე. ოთხივე ფიფას არბიტრია, ასე რომ, უკვე თავიდანვე იყო ცნობილი, რომ მეოთხედფინალებს ისინი მოემსახურებოდნენ.

თავად კენჭისყრა კი სამსაჯო საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარის, ანატოლი მილჩენკოს მოადგილემ, გია ძამუკაშვილმა ნორჩების დახმარებით ჩაატარა. გულშემატკივართათვის ცნობილია თასის მეოთხედფინალების წყვილები, მაგრამ მაინც შეგახსენებთ: „ლოკომოტივი" — „ბათუმი", „ტორპედო" — „გორდა", „ვიტ ჯორჯია" — „სამგურალი", „არსენალი" — „მერანი".

წილისყრის ჩატარების დემოკრატიულობა რომ არ დარღვეულიყო, ქუთაისელ ავთო შალამბერიძეს უარი ეთქვა და პირველად სწორედ იმერელთა და რუსთაველთა დუელის განმსჯელი უნდა დასახელებულიყო. ზემონახსენები დანარჩენი სამი მსაჯიდან კი ეს პატივი ოთარ გუნთაძეს ერგო. შემდეგ ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით ჩატარდა. საბოლოოდ კენჭისყრის შედეგად მეოთხედფინალურ მატჩებს გაუძღვებიან: „ლოკომოტივი" — „ბათუმი" თამაზ ლაცაბიძე (სურამი), „ტორპედო" — „გორდა" ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი), „ვიტ ჯორჯია" — „სამგურალი" ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი), „არსენალი" — „მერანი" სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

კენჭისყრაც ამით დასრულდა. მავანმა შეიძლება იკითხოს, მთავარი მსაჯების ამბავი გასაგებია, მაგრამ მათ დამხმარეებს როგორღა დანიშნავენო. როგორ და ძველებურად, შეთანხმების საფუძველზე. გვერდითი და მეოთხე მსაჯის გარდა მატჩებზე განაწილებული ორ-ორი კომისარიც დაამტკიცეს. თუ ადრე მატჩებზე სფფ დელეგატად ერთ კაცს გზავნიდა, ახლა სხვაგვარად იქნება — დელეგატისა და ინპექტორის ფუნქციები გაიმიჯნა.

ეროვნული თასის მეოთხედფინალებზე მომსახურეთა სრული სია ასეთია:

**ლოკომოტივი — ბათუმი**

მთავარი მსაჯი: თამაზ ლაცაბიძე (სურამი)

ლაინსმენები: ს. კახიანი (თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია)

სათადარიგო: ს. შალამბერიძე (თბილისი)

ინსპექტორი: ა. მილჩენკო

დელეგატი: მ. ანჯაფარიძე

**ტორპედო — გორდა**

მთავარი მსაჯი: ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი)

ლაინსმენები: ა. მეშკოვი, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი)

სათადარიგო: ზ. ხუციშვილი (დმანისი)

ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი

დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

**ვიტ ჯორჯია — სამგურალი**

მთავარი მსაჯი: ავთანდილ შალამბერიძე

ლაინსმენები: კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი

სათადარიგო: პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)

ინსპექტორი: მ. მიმინოშვილი

დელეგატი: ი. რუხაძე

**არსენალი — მერანი**

მთავარი მსაჯი: სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი)

ლაინსმენები: გ. ცირდავა (გულრიფში), კ. მესხი (ზუგდიდი)

სათადარიგო: ა. სამხარაძე (სოხუმი)

ინსპექტორი: ა. დურსუნიში

დელეგატი: გ. ძამუკაშვილი

მეოთხედფინალები 20 და 24 თებერვალს ჩატარდება და დღის 3 საათზე დაიწყება.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ალბათ, მაინც კიგანი




კევინ კიგანი ალბათ ინგლისის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში

ლონდონის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ინგლისური ფეხბურთის ვარსკვლავის კევინ კიგანის სახლის შორიახლოს, დაახლოებით ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა მსჯელობა ქვეყნის ეროვნული გუნდის ახალი ხელმძღვანელის თაობაზე. თანამოსაუბრენი იყვნენ თავად კიგანი და ფეხბურთის ასოციაციის ორი თანამშრომელი, ნოელ უაიტი და დევიდ დევისი. უაიტს ასოციაციაში საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა უკავია, ხოლო დევისი აღმასრულებელი შეფის მოვალეობას ასრულებს. უაიტი და დევისი კიგანის დაყოლიებას ცდილობდნენ.

ეს ცნობა ინგლისელ ჟურნალისტებს ასოციაციის პრესატაშემ, სტივ დაბლმა მიაწოდა, თუმცა სამეულის საუბრის შინაარსის დაწვრილებით თხრობისგან თავი შეიკავა. მან თქვა:

„ჩვენ მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ და ვიმედოვნებთ, რომ კვირის ბოლოს დადებით შედეგსაც მივიღებთ".

„ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, კევინ კიგანი, რომელიც ერთიხანობა გერმანულ „ჰამბურგშიც" გამოდიოდა და სწორედ ამ ლეგენდარული გუნდის შემადგენლობაში ეწვია თბილისს 1979 წელს, დღეს მეორე დივიზიონის კლუბის, „ფულემის" მწვრთნელია. მას მერე, რაც, 2 თებერვალს, ეროვნული გუნდის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გლენ ჰოდლი გადააყენეს, იგი ამ თანამდებობის ერთ ერთ უმთავრეს და ალბათ ყველაზე სასურველ კანდიდატად ითვლება. თავდაპირველად კიგანმა ფეხბურთის ასოციაციის წინადადებაზე უარი განაცხადა, „ფულემს" უნდა ვუერთგულოო, მაგრამ ერთი ხნის მერე, უფრო ზუსტად კი გასულ კვირა დღეს, მაცდურად გამოტყდა, რომ თუ ასოციაციის ჩინოვნიკები მასთან მოლაპარაკებებს ხელახლა წამოიწყებენ, იგი მათ მოუსმენს და თავისსაც ეტყვის.

„ფულემი" ლონდონური კლუბია, რომლის მეპატრონე გახლავთ მილიონერი მოჰამედ ალ ფაედი, მამა იმ დოდი ალ ფაედისა, რომელიც ბრიტანეთის პრინცესა დაიანასთან ერთად ავტოკატასტროფაში დაიღუპა. კიგანს ალ ფაედის კლუბთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად იქ კიდევ 18 თვე აქვს გასატარებელი. აღსანიშნავია, რომ „ფულემის" გულშემატკივრებმა ყოფილ ვარსკვლავს „კრეივენ კოტეჯზე" დარჩენისა და ინგლისის ნაკრების მწვრთნელობაზე უარის თქმისკენ მოუწოდეს.

უმწვრთნელოდ დარჩენილ ნაკრებს კი, მოგეხსენებათ, საფრანგეთთან ამხანაგურ შეხვედრაში „ევერტონისა" და „ლიდს იუნაიტედის" ყოფილმა თავკაცმა ჰოვარდ უილკინსონმა უხელმძღვანელა. იმ თამაშში ინგლისელებმა 0:2 წააგეს.

უილკინსონი, როგორც წინასწარ იყო გამოცხადებული, ეროვნულ გუნდს დროებით უდგას სათავეში, თუმცა, ბოლო დროს, ზოგიერთი გაზეთის მიმომხილველი გამოთქვამს ეჭვს, რომ კიგანის თანხმობა უილკინსონის წასვლის ტოლფასი არ იქნება და შეიძლება საქმეს ორივენი ერთად გაუძღვნენ.

# ციურიხში, ბლატერთან

27 მარტს ციურიხში ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი ევროპის უდიდესი კლუბების კავშირის G14-ის წარმომადგენლებს შეხვდება და მათთან პრობლემატურ საკითხებზე იმსჯელებს.

საფეხბურთო კლუბების მესვეურები ჯერჯერობით რამდენიმე ნათლად გამოკვეთილი საკითხის გარშემო ბჭობენ, ისე კი, უეჭველია, პრობლემები მეტია.

დიდ კლუბთა მოთხოვნა სამ მთავარ ჯგუფად შეიძლება დაიყოს:

პირველი ისაა, რომ კლუბებს სურთ, კომპენსაცია მიიღონ იმ ფეხბურთელების სანაცვლოდ, რომლებიც ქვეყნის ღირსების დასაცავად ამა თუ იმ ქვეყნებში მიემგზავრებიან. როგორც ცნობილია, კლუბი ფეხბურთელს ფინანსურად უზრუნველყოფს ნაკრებში ყველა გამგზავრებისას, ამის სანაცვლოდ კი გუნდები არაფერს იღებენ. დიდი კლუბების ხელმძღვანელები იმის გარკვევას ცდილობენ ფეხბურთელს რამდენჯერ აქვს უფლება, ითამაშოს ნაკრებში.

მეორე მოთხოვნა ისაა, რომ გუნდებს საშუალება მიეცეთ საევროტურნირო განაცხადში 25 მოთამაშეს ნაცვლად 35 შეიყვანონ. ეს წინადადება „ძლიერთა ამა ქვეყნისათა", მილანის „ინტერის" პრეზიდენტის მასიმო მორატის თაოსნობით წამოაყენეს.

მესამე საკითხი კი მეტად მნიშვნელოვანია. დღესდღეობით უეფას კანონმდებლობა კრძალავს იმას, რომ ევროტურნირებში ფეხბურთელმა ორი კლუბის შემადგენლობაში ითამაშოს. მაგალითად, თუ ფეხბურთელი შემოდგომით უეფას თასზე თამაშობდა, შემდეგ კი იმ გუნდში გადავიდა, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობს, მას იმ სეზონში აეკრძალება ლიგაში თამაში. კლუბები ამ კანონის შეცვლას ითხოვენ, რათა ფეხბურთელების ევროტურნირებში თამაში არ შეიზღუდოს.

27 მარტს ბევრი რამ გაირკვევა.




იოზეფ ბლატერი მუდამ ვიღაცას ხვდება

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

## საბერძნეთი

მე-19 ტური. პანათინაიკოსი — პროდეფტიკი 1:0; ვერია — ქსანტი 2:0; არისი — პაოკი 2:0; პანელეფსინიაკოსი — ოლიმპიაკოსი 0:2; აპოლონი — აეკ 1:1; პანიონისი — იონიკოსი 0:2; კავალა — ეთნიკოსი (ასტილი) 3:0; ეთნიკოსი (პირეოსი) — პანილიაკოსი 1:1; ოფი — ირაკლისი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 19 | 14 | 2 | 3 | 47:14 | 44 |
| პანათინაიკოსი | 19 | 14 | 1 | 4 | 36:20 | 43 |
| აეკ | 19 | 12 | 4 | 3 | 41:16 | 40 |
| პაოკი | 19 | 11 | 3 | 5 | 27:19 | 36 |
| არისი | 19 | 11 | 3 | 5 | 26:22 | 36 |
| ქსანტი | 19 | 9 | 5 | 5 | 20:17 | 32 |
| ოფი | 19 | 10 | 2 | 7 | 30:22 | 32 |
| იონიკოსი | 19 | 8 | 5 | 1 | 32:19 | 29 |
| ირაკლისი | 19 | 7 | 6 | 6 | 28:20 | 27 |
| კავალა | 19 | 6 | 6 | 7 | 30:28 | 24 |
| ეთნიკოსი (ა) | 19 | 7 | 2 | 10 | 22:33 | 23 |
| პანილიაკოსი | 19 | 6 | 4 | 9 | 25:29 | 22 |
| პანიონისი | 19 | 6 | 2 | 11 | 29:31 | 20 |
| პროდეფტიკი | 19 | 4 | 5 | 10 | 16:24 | 17 |
| პანელეფსინ. | 19 | 2 | 10 | 7 | 13:23 | 16 |
| აპოლონი | 19 | 3 | 6 | 10 | 22:44 | 15 |
| ვერია | 19 | 3 | 4 | 12 | 12:29 | 13 |
| ეთნიკოსი (პ) | 19 | 0 | 6 | 13 | 11:47 | 6 |

## ალბანეთი

მე-17 ტური. დინამო — პარტიზანი 2:2; სკენდერბეუ — შკუმბინი 3:1; ბილიში — ტეუტა 3:0; ლაჩი — ტომორი 0:0; აპოლონია — ვლაზნია 0:0; ფლამურტარი — ბესა 4:0; ელბასანი — ტირანა 0:0; ლუშნია — ბურელი 3:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტირანა | 17 | 10 | 4 | 3 | 28:13 | 34 |
| ბილიში | 17 | 10 | 2 | 5 | 27:12 | 32 |
| ვლაზნია | 17 | 9 | 4 | 4 | 32:10 | 31 |
| ლუშნია | 17 | 10 | 1 | 6 | 32:19 | 31 |
| დინამო | 17 | 8 | 5 | 4 | 27:23 | 29 |
| ტომორი | 17 | 7 | 5 | 5 | 15:12 | 26 |
| შკუმბინი | 17 | 8 | 1 | 8 | 20:21 | 25 |
| პარტიზანი | 17 | 6 | 6 | 5 | 21:25 | 24 |
| სკენდერბეუ | 17 | 7 | 0 | 10 | 30:31 | 21 |
| ბესა | 17 | 6 | 2 | 9 | 15:27 | 20 |
| ელბასანი | 16 | 5 | 5 | 6 | 11:11 | 20 |
| ლაჩი | 17 | 5 | 4 | 8 | 17:26 | 19 |
| აპოლონია | 17 | 4 | 6 | 7 | 17:24 | 18 |
| ფლამურტარი | 17 | 4 | 5 | 8 | 19:29 | 17 |
| ტეუტა | 17 | 5 | 2 | 10 | 13:37 | 17 |
| ბურელი | 16 | 4 | 2 | 10 | 22:26 | 14 |

## შოტლანდია

თასის მესამე წრე

როს ქაუნთი — კლაიდბანკი 2:3 (ძ.დ. 2:2)

მეოთხე წრის კენჭისყრა

მოზერველი — სენტ ჯონსტონი; ეირ იუნაიტედი — კლაიდბანკი ან დანდი იუნაიტედი; მორტონი — სელტიკი; გლაზგო რეინჯერსი — ფალკირკი

## ფეხბურთის რუკასთან



ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მადრიდის „რეალის" საჩივარი განიხილა და სამეფო კლუბის თხოვნა დააკმაყოფილა. სეზონის დასაწყისში „ტენერიფემ", პრიმერა დივიზიონის გუნდმა, „რეალის" ხელმძღვანელთა თანხმობის გარეშე კლუბის სათადარიგო ფეხბურთელი, მისტად ცნობილი მიგელ ანხელ ფერო გადაიბირა. მას შემდეგ მისტა „ტენერიფეში" თამაშობდა და გასამრჯელოსაც ამ გუნდისგან იღებდა. მადრიდელებმა ამ საქმის გამო 22 დეკემბერს იჩივლეს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში, რამდენიმე დღის წინ კი პასუხიც მიიღეს — „ტენერიფემ" მათ 5 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს. გასულ სეზონში „რეალის" სათადარიგო შემადგენლობაში ნათამაშევ 27 მატჩში მისტამ 18 გოლი გაიტანა.

**ინგლისის ქალაქ ლესტერის მერმა უარყო პრემიერლიგის კლუბ „ლესტერის" გეგმა, ქალაქში ახალი, ულტრათანამედროვე სტადიონის აგების შესახებ. გუნდის ხელმძღვანელობას 40-ათასიანი სარბიელის აშენება ჰქონდა განზრახული, მაგრამ ქალაქის მმართველნი არ დათანხმდნენ. შეგახსენებთ, რომ „ლესტერი" დღესდღეობით 21-ათასიან „ფილბერტ სტრიტზე" თამაშობს.**

განელი თავდამსხმელი ენტონი იებოა მომავალ სეზონშიც „ჰამბურგის" ღირსებას დაიცავს. ასეთი ინფორმაცია გაავრცელა ბუნდესლიგის კლუბმა. „ჰამბურგის" ხელმძღვანელობა აფრიკელი ფეხბურთელით კმაყოფილია და ამიტომაც მასთან დადებული კონტრაქტი, წლეულს, სეზონის დასრულებისთანავე რომ იწურება, კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივა. ენტონი იებოა „ჰამბურგში" 1997 წელს გადავიდა ინგლისის „ლიდს იუნაიტედიდან". შეგახსენებთ, რომ იგი 90-იანი წლების დასაწყისში ფრანქფურტის „აინტრახტში" საქართველოს ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ კახი ცხადაძესთან ერთად თამაშობდა. „აინტრახტში" ყოფნისას იებოამ ორჯერ მოიპოვა ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული.

**რუსეთის ორმა კლუბმა ფეხბურთელები გაცვალა. მოსკოვის „სპარტაკმა" თანაქალაქელი „დინამოსგან" მცველი იური კოვტუნი გადაიბირა, თავად კი თავდამსხმელი ნიკოლაი პისარევი გაუშვა. რუსული პრესის ცნობით, ფეხბურთელთა გაცვლა სპარტაკელთა სურვილით მოხდა. ოლეგ რომანცევი, რუსეთის ექვსგზის ჩემპიონ „სპარტაკის" მწვრთნელი, იმედოვნებს, რომ ახალწვეული ტრავმირებული ევგენი ბუშმანოვის შეცვლას შესძლებს.**

შვედეთის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ანდრეას ლიმპარი ორი წლით ამერიკის საფეხბურთო ლიგის კლუბ „კოლორადო რაპიდსში" გადავიდა. ლიმპარმა, რომელსაც თავის დროზე ინგლისის პრემიერლიგის კლუბებში „არსენალსა" და „ევერტონში" უთამაშია, ამერიკულ კლუბთან რამდენიმე დღის წინ გააფორმა კონტრაქტი. 33 წლის ნახევარმცველს ნაკრებში ნათამაშევ 58 მატჩში 6 გოლი გაუტანია. ლიმპარის ბოლო კლუბის აიკის პრესატაშეს განცხადებით, ფეხბურთელი ახალ გუნდს მას შემდეგ შეუერთდება, რაც ამერიკის საემიგრაციო სამსახურისგან სამუშაოს უფლებას მიიღებს.

**გერმანიის ყველაზე ტიტულიანი კლუბის „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა, ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად ორჯერ აღიარებულმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ გუნდის თავკაცობა მზადაა, მწვრთნელ ოტმარ ჰიცფელდთან კონტრაქტი გააგრძელოს. რუმენიგეს თქმით, „ბაიერნს" კიდევ სამ-ოთხი წლით სურს ჰიცფელდთან მუშაობა. ჯერჯერობით მწვრთნელსა და „ბაიერნს" შორის დადებულ ხელშეკრულებას ვადა გაისად, 30 ივნისს გაუდის. „ბაიერნში" ჰიცფილდმა იტალიელი ჯოვანი ტრაპატონი შეცვალა. ბუნდესლიგის პირველი წრის შემდეგ მიუნხენელები მდევარ „ლევერკუზენს" რვა ქულით უსწრებენ. შეგახსენებთ, რომ დორტმუნდის „ბორუსიაში" მოღვაწეობისას ჰიცფელდმა ზედიზედ ორჯერ მოიგო ბუნდესლიგა, შემდეგ კი ევროპის ჩემპიონთა თასიც მოიპოვა.**

ინგლისის 1995 წლის ჩემპიონ „ბლექბერნ როვერსმა" ამ უქმეებზე ერთბაშად ორი ფეხბურთელი შეიძინა. ბლექბერნის კლუბის მწვრთნელის, ბრაიან კიდის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ გუნდის ხელმძღვანელებმა ორი ახალგაზრდა მოთამაშის სანაცვლოდ 974 ათასი დოლარი გაიღეს. 18 წლის სამხრეთაფრიკელი ბარტონ ობრაიენი და 17 წლის დევიდ მაკნეიმი დღეიდან „ბლექბერნ როვერსში" ითამაშებენ. მათ გადაბირებას „ბლექბერნის" გარდა „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლიდსიც" ცდილობდნენ.

**საფრანგეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი რეინალდ პედროსი, რომელიც აქამდე იტალიის ჩემპიონატში, კერძოდ კი „პარმაში" თამაშობდა, აპენინის ნახევარკუნძულიდან ნისლიან ალბიონზე, პრემიერლიგის კლუბ „შეფილდ უენსდეიში" გადავიდა. 27 წლის ნახევარმცველი, რომელსაც ქვეყნის ღირსება 25-ჯერ დაუცავს, ინგლისში ერთი კვირას გაატარებს, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტსაც გააფორმებს. პედროსის სანაცვლოდ „შეფილდ უენსდეი" „პარმას" 3,2 მილიონ დოლარს გადაუხდის.**

იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „ემპოლიმ", ბოლო ტურში, შინ „სალერნიტანასთან" 2:3 მარცხის შემდეგ მწვრთნელი შეიცვალა. კვირას თანამდებობიდან გათავისუფლებული მაურო სანდრეანის ნაცვლად გუნდს ნაკლებად ცნობილი კორადო ორიკო უხელმძღვანელებს. სხვათა შორის, ორიკოს სამწვრთნელო კარიერის 33 წლის მანძილზე სერია A-ს კლუბებში 39 დღე (!) უმუშავია. 1979-80 წლების სეზონში ორიკომ 22 დღე დაჰყო „უდინეზეში", შემდეგ კი 17 დღით „ინტერსაც" წვრთნიდა. კარიერის დიდი ნაწილი ორიკოს ქვეყნის ქვედა საფეხბურთო ლიგებში გაუტარებია.

**ბრაზილიელმა გამთამაშებელმა ჟუნინიომ განაცხადა, რომ იგი მზადაა, „ატლეტიკოს" კრიზისიდან თავის დაღწევაში დაეხმაროს. ბოლო ხანებში მადრიდული კლუბის იტალიელ მწვრთნელ არიგო საკისთან უთანხმოების გამო იგი გუნდის შემადგენლობაში იშვიათად ჩნდებოდა, ახლა კი იმედი აქვს, რომ კვლავინდებურად ყველა შეხვედრაში ითამაშებს. „მე შემიძლია და მსურს თამაში და ვფიქრობ, ამის შესაძლებლობას მომცემენ. ჩემთვის ძნელია, სათადარიგოთა შორის ყოფნა" — განაცხადა ჟუნინიომ. ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ეს „ატლეტიკოდან" არიგო საკის წასვლის შემდეგ თქვა.**

შვედეთის კლუბ „ჰელსინგბორგის" ორი ფეხბურთელის შეძენა იტალიის სერია B-ს კლუბმა „ტორინომ" მოიწადინა. ტურინული გუნდის ხელმძღვანელებმა ერიკ ედმანის და მარკუს ლანცის თამაში რამდენჯერმე ნახეს და მათი შეძენა გადაწყვიტეს. „მიმდინარეობს მოლაპარაკება. თუმცა როგორ დასრულდება, არავინ იცის" — განაცხადა შვედური კლუბის დირექტორმა ლარს ოლსონმა. ცნობისთვის: ერიკ ედმანი 20 წლის მცველია, მარკუს ლანცი კი 23 წლისაა და ნახევარდაცვაში თამაშობს.

**ესპანეთის ნაკრებისა და „ბეტისის" თავდამსხმელი ალფონსო დაახლოებით ორ თვეს ველარ ითამაშებს. წლევანდელ სეზონში იგი დათარსულია: სექტემბერში, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში კვიპროსთან, მძიმედ დაშავდა და სამი თვით გამოეთხოვა ფეხბურთს. ახლა კი, გამოჯანმრთელების შემდეგ, კვლავ დაიმტვრა — ბოლო ტურში „რასინგთან" შეხვედრაში ფეხის კუნთი დაიზიანა. უკვე გადაწყვეტილია, რომ ალფონსო ორ სანაკრებო თამაშს გამოტოვებს.**

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# ნადირი გასართობად წასულა

უბატისტუტოდ დარჩენილ „ფიორენტინას“ რომ გაუჭირდებოდა, ძნელი მისახვედრი არ იყო. თუმცა დაშავდა თუ არა „ბატიგოლი“, ფლორენციელ ტიფოზებს საყვარელი გუნდის მეორე ლიდერის, ბრაზილიელი ედმუნდოს იმედი გაუჩნდათ...

მაშინ, როდესაც გასაცოდავებული „ფიორენტინა“ ოფლს ღვრიდა, რათა „უდინეზესთან“ 0:1 არ წაეგო (თუმცა მაინც წააგო), ედმუნდო ძმაბიჭებთან ერთად იპანამას პლაჟზე ბურთს აგორებდა. მის გარდა სალაღობო მატჩში პროფესიონალი ფეხბურთელები, პლაჟის ფეხბურთის ოსტატები და „საპნის ოპერების“ ცნობილი მსახიობები თამაშობდნენ.

სამშობლოში ედმუნდო ათდღიანი შვებულებით იმ მიზეზით წავიდა, რომ თურმე რიოს სასამართლოში მის წინააღმდეგ საქმე იყო აღძრული (ავტოავარიაში მონაწილეობდა) და ეს პრობლემა უნდა მოეგვარებინა. მართალია, „ფიორენტინას“ ხელმძღვანელობისთვის, ბრაზილიელის შვებულების ამბავი კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი, მაგრამ იგი საეჭვოდ დაემთხვა საქვეყნოდ განთქმულ რიოს კარნავალს.

ჰქონდა თუ არა „ნადირს“ (ედმუნდოს მეტსახელი) თემიდის თანამემამულე მსახურებთან ურთიერთობა, ჯერჯერობით უცნობია. ის კი გაირკვა, რომ მან პლაჟზეც გააგორა ბურთი და კარნავალშიც ენერგიულად ჩაერთო — ბრაზილიელ ლამაზმანებთან ერთად მაგრად მოილხინა.

„ფიორენტინას“ კი ლიდერი არ ჰყავს და მეორე ადგილზეც დაქვეითდა.


REUTERS რიო დე ჟანეიროდან

ედმუნდო — რიოელ ქალბატონთა კერპი


სარბიელის არქივიდან

დიეგო არმანდო მარადონა

# სპორტი ან ხელოვნება

დიეგო არმანდო მარადონა თურქეთში მოგზაურობის შემდეგ სამშობლოში, ბუენოს აირესში დაბრუნდა და ადგილობრივი რადიოს მეშვეობით თავისი უახლოესი გეგმებიც ამცნო საზოგადოებას. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საუბარი ფეხბურთს შეეხო, დიდი დიეგოს თქმით, შესაძლოა, იგი კუვეიტის ეროვნულ გუნდს ჩაუდგეს სათავეში.

— დიდი შანსია, უმოკლეს პერიოდში კუვეიტელთა წვრთნა დავიწყო — თქვა მარადონამ, რომელმაც ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ მცირე ხნით არგენტინაში იმუშავა მწვრთნელად, მაგრამ არცთუ წარმატებულად.

ფეხბურთელის განცხადებას მეორე დღესვე გამოეხმაურა კუვეიტის ფეხბურთის ფედერაციის შეფი და აზიური ოლიმპიური საკონსულოს პრეზიდენტი, შეიხი აჰმად ალფაჰდ ალაჰმად ალსაბაჰი.

— ის, რომ ჩვენი ნაკრებისთვის თავკაცს ვეძებთ, სრული სიმართლეა, მაგრამ ამ თანამდებობაზე დანიშვნის კანდიდატთა შორის მარადონას გვარი აშკარად არ ფიგურირებს — აღნიშნა საკმაოდ საინტერესო სახელის და გვარის მქონე შეიხმა.

მარადონამ ისიც თქვა, რომ საკუთარ ცხოვრებაზე ფილმის გადაღებას აპირებს და ამასთან დაკავშირებით თურმე უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს ცნობილ იტალიელ მაგნატსა და პოლიტიკოსთან, საფეხბურთო კლუბ „მილანის“ მფლობელ სილვიო ბერლუსკონისთან.

— მომეცა შესაძლებლობა, კინემატოგრაფის საშუალებით მსოფლიოს ჩემი ისტორია მოვუთხრო. ფილმის რეჟისორი და გადამღები ჯგუფი მხოლოდ იმას გააკეთებენ, რასაც მე ვეტყვი და არა იმას, რაც თავად მოესურვებათ. ეს ჩემი მოთხოვნაცაა და ბერლუსკონის ხალხიც იგივეს დამპირდა — ამბობს მსოფლიოს ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი.

ერთი სიტყვით, მარადონა უსაქმოდ არ იქნება. თუ მას კუვეიტის ნაკრების თავკაცად არ დანიშნავენ (ალბათ, ასეც იქნება), მაშინ მთლიანად კინოს სამყაროში ჩაიძირება.

# სევილიელი კრიტიკოსი სელსო

პარაგვაელმა ნახევარმცველმა სელსო აიალამ სევილიის „ბეტისიდან“ წასვლა დააპირა. რამდენიმე დღის წინათ ფეხბურთელმა კლუბის თავკაცი ხავიერ კლემენტე გააკრიტიკა, რის გამოც გუნდის ფეხბურთელებმა მას ზურგი აქციეს. „აქ ყოფნა აღარ შემიძლია. მე ისიც კი არ ვიცი, საჭირო ვარ თუ არა“ — განაცხადა ფეხბურთელმა. პარაგვაის ნაკრების ნახევარმცველი სევილიურ კლუბში შარშან ზაფხულში, საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. „ბეტისის“ წარმომადგენელთა თქმით, სელსო აიალას შეძენა ბრაზილიურმა „სან პაულუმ“ მოიწადინა.

# პრეზიდენტი მენემი და მოსამართლე პეროტა

არგენტინაში, პირველი დივიზიონის ფეხბურთელებმა ერთკვირიანი გაფიცვა გამოაცხადეს. ყველაფერი მოსამართლე ვიქტორ პეროტას ვერდიქტმა გამოიწვია: პეროტამ, დეკემბერში, ქვედა დივიზიონებში, შეჯიბრებათა გაუქმება ბრძანა, რამაც უმაღლესი ეშელონის მოთამაშეებს პროტესტისა და სოლიდარობისკენ უბიძგა. თავის მხრივ, მოსამართლის გაგებაც შეიძლება. საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ დაბალი დივიზიონების მატჩების დროს, არგენტინის ქალაქებში, ტრიბუნებზე დიდი არეულობა და ძალადობაა.

„ჩვენ ქვედა დივიზიონელ ბიჭებს ვუდგავართ მხარში და იმედი გვაქვს, რომ პრობლემა უახლოეს დღეებში მოგვარდება“ — განაცხადა ფეხბურთელების საგნაგებო შეკრებიდან გამოსულმა, „ინდეპენდიენტეს“ მოთამაშემ, დანიელ გარნერომ.

შეშფოთებულმა არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ მოსამართლე პეროტას საგანგებო თხოვნით მიმართა, გააუქმოს დეკემბრის გადაწყვეტილება.

საკითხმა ქვეყნის პრეზიდენტი კარლოს მენემიც შეაწუხა. გარდა იმისა, რომ არგენტინაში ფეხბურთის გარეშე ცხოვრება ზოგადად წარმოუდგენელია. პრეზიდენტს ერთობ პრაქტიკული მოტივიც აქვს საქმეში ჩასარევად. მან ბრძანა:

„ნურავის დაავიწყდება, რომ ფეხბურთი მხოლოდ ფეხბურთელებს კი არა, უამრავ სხვა ადამიანსაც აძლევს ლუკმა-პურს“.

მაგრამ, იქნება თუ არა მოსამართლის ვერდიქტის შესაძლო შეცვლა გამოსავალი, საკითხავია. სავარაუდოა, რომ სამხრეთ ამერიკის ამ ქვეყანაში ვერც ფეხბურთს ამოძირკვავს ვინმე და სამწუხაროდ ვერც ძალადობას!

# 1998 წლის სამხრეთ ამერიკის სიმბოლური ნაკრები


ხოსე ლუის ჩილავერტი
პარაგვაი
(ველეს სარსფილდი, არგენტინა)


ფრანსისკო არსე
პარაგვაი
(პალმეირასი, ბრაზილია)


ხორხე ბერმუდესი
კოლუმბია
(ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)


კარლოს გამარა
პარაგვაი
(კორინთიანსი, ბრაზილია)


ფელიპე
ბრაზილია
(ვასკუ და გამა, ბრაზილია)


დიეგო კანია
არგენტინა
(ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)


მაურისიო სერნა
კოლუმბია
(ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)


მარსელო გალიარდო
არგენტინა
(რივერ პლეიტი, არგენტინა)


მარსელინიო კარიოკა
ბრაზილია
(კორინთიანსი, ბრაზილია)


ლუის ერნანდესი
მექსიკა
(ნეკაქსა, მექსიკა)


მარტინ პალერმო
არგენტინა
(ბოკა ხუნიორსი, არგენტინა)

# თასს ზერელედ არავინ უყურებს

„ინტერი“ და „ფიორენტინა“ იტალიის თასზე, მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში, კვირიდან გამოყოლილი უკმაყოფილების გრძნობის დასაძლევად ითამაშებენ. მოგეხსენებათ სერია A-ს პირველობის ბოლო ტურში ორივე დამარცხდა, პირველი „პერუჯასთან“ 1:2, მეორე კი „უდინეზესთან“ — 0:1.

„ინტერს“ ამ საღამოს „სან სიროზე“ სერიოზული მოწინააღმდეგე ჰყავს — „პარმა“. გამარჯვების შემთხვევაში მილანელები, 9 მარტს, პარმაში, ბუნებრივია, მეტად თავდაჯერებულნი ჩავლენ. ალბათ მიმართავენ კიდეც ყველა ღონეს მოსაგებად, ვინაიდან „პერუჯასთან“ ზემოხსენებულმა დამარცხებამ მათ „სკუდეტოსთვის“ ბრძოლის პერსპექტივა ფაქტობრივად მოუსპო — ლიდერებს, „ფიორენტინასა“ და „ლაციოს“ 8 ქულით ჩამორჩინა. ხოლო სეზონის უტიტულოდ ჩამთავრება თავმოყვარე კლუბს, ბუნებრივია, არ ენდომება.

„შავ-ლურჯთა“ შორის, ბოლო დროს, საგანგებოდ კარგი თამაშით მსოფლიოს ჩემპიონი, ფრანგი იური ჯორკაეფი, გამოირჩევა. სერია A-ს ბოლო ორ, მე-20 და 21-ე ტურში მან ოთხი გოლი გაიტანა. ასე, რომ საყოველთაოდ აღიარებულ რონალდოსა და რობერტო ბაჯოს ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასაბევებლად, დღესაც და უახლოეს მომავალშიც, ბრძოლა მოუწევთ.

რონალდომ და რობერტო ბაჯომ კვირას, პერუჯაში, ტრავმების გამო ვერ ითამაშეს, თუმცა ამ საღამოს მოედანზე ორივე რომ ვიხილოთ, გასაკვირი არ იქნება.

ზემოთ ვახსენეთ, რომ „ინტერი“ „პარმას“ „სან სიროზე“ მასპინძლობს. აღსანიშნავია, რომ ამ სტადიონზე, ანუ მშობლიურ კედლებში, ბოლო ხუთ, ჩემპიონატის თუ სათასო შეხვედრაში, „შავ-ლურჯებს“ 25 გოლი აქვთ გატანილი. რაც შეეხებათ პარმელებს, მათ ბოლო ტურში „ბოლონიასთან“ ივაგლახეს. საკუთარ მოედანზე ჯერ იგორ კოლივანოვის დარტყმული გაუშვეს, მერე ხუან ვერონი გაუძევეს მოედნიდან და მხოლოდ ბოლოს, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება — მარიო სტანიჩმა იყოჩაღა.

„ბოლონია“ სწორედ ის გუნდია, რომელიც მეოთხედფინალში, ოღონდ ხვალ, „ფიორენტინას“ ეთამაშება. „ფიორენტინას“ კი, როგორც ცნობილია, ბოლო 10 დღეში ძალიან აერია ცხოვრება. ყველაზე მთავარი დანაკლისი გუნდისთვის გახლდათ სერია A-ს ბომბარდირთა სიის მეთაური, 18 გოლის ავტორი, არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა, რომელიც ერთი ტურის წინ, „მილანთან“ შეხვედრაში დაშავდა და კარგა ხანს ველარ ითამაშებს. მეორე დანაკლისი გახლდათ ედმუნდო — რიოში კარნავალზე წასული ბრაზილიელი. მან ქეიფი და დროსტარება ამჯობინა იმის შესრულებას, რაშიც ხელფასს უხდიან.

სხვათაშორის, ორშაბათს, ედმუნდოს უთქვამს იტალიაში ოთხშაბათს დავბრუნდები, რადგან რიოში მხოლოდ და მხოლოდ სამბას ჯგუფთან ერთად მარშით გავლა მაინტერესებდა, რაც ავისრულეო.

„ფიორენტინა“, მოგეხსენებათ, ამ სეზონში, უეფას თასის გათამაშებიდან სალერნოში, ვიღაც ხულიგნის მიერ მსაჯისთვის ნასროლი ცეცხლმოკიდებული საგნის გამო გააგდეს, ასე რომ ფლორენციის გუნდიც დაინტერესებულია ისეთი ტიტულის მოპოვებით, გაისად ევროშეჯიბრებაზე რომ გაიყვანს. მოკლედ, სავარაუდოა, რომ „ფიორენტინა“ — „ბოლონია“ დაძაბული შეხვედრა იქნება.

# პირველი ლატვიელი

## EURO 2000 ჩვენი ჯგუფი



მარიან პახარსი

ინგლისური პრემიერლიგის აუტსაიდერმა, ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფმა „საუთჰემპტონმა“ ჩვენი ჯგუფის ლიდერის, ლატვიის ეროვნული გუნდის თავდამსხმელ მარიან პახარსთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ფეხბურთელის სანაცვლოდ მისი ყოფილი კლუბი რიგის „სკონტო“ 800 ათას გირვანქას (1,3 მილიონი დოლარი) მიიღებს.

22 წლის პახარსი სამშობლოში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება. ლატვიის ჩემპიონის, „სკონტოს“ შემადგენლობაში მას თითქმის ყოველ მეორე შეხვედრაში გაჰქონდათ გოლი და არც სანაკრებო დონეზე ირცხვენს თავს. სწორედ ამ ტანმორჩილმა და ძალიან სწრაფმა ფორვარდმა შეუგდო ოსლოში ნორვეგიელებს პირველი ბურთი და თავისიანებს სენსაციური გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა (ლატვიამ 3:1 მოიგო).

პახარსი, რომელიც პირველი ლატვიელი და მეორე ბალტიისპირელი ფეხბურთელი იქნება („დერბი ქაუნთის“ ესტონელ მეკარე მარტ პოომის შემდეგ) პრემიერლიგაში, კვლავაც სამუშაო ვიზას ელის და მხოლოდ ნებართვის მიღების მერე შეძლებს „საუთჰემპტონის“ სახელით თამაშს. რაც შეეხება კონტრაქტის ვადას, ამის გამხელა ინგლისური კლუბის პრესმდივანმა ჯერჯერობით არ ისურვა.

# სად წავა ზიდანი?



სარბიელის არქივიდან

ზინედინ ზიდანი (მარჯვნივ) „იუვენტუსში“ დარჩება?

მილანის „ინტერს“ მომავალ ზაფხულს უმთავრეს სამიზნედ საფრანგეთის ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ გამთამაშებელი, გასული წლის მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი, პლანეტის საუკეთესო სპორტსმენი ზინედინ ზიდანი ეყოლება.

ამრიგად, „იუვენტუსის“ ახალ მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის, ფრანგი ვარსკვლავის გუნდში დასატოვებლად დიდი ბრძოლა მოელის.

ამ საკითხის შესახებ თავად ზიდანი ჯერჯერობით არაფერს ამბობს, მაგრამ ასეთი ტრანსფერი გამორიცხული რომ არ არის ფაქტია, რადგან, როგორც ამბობენ, მომავალი სეზონიდან „ინტერს“ სათავეში მარჩელო ლიპი ჩაუდგება, ლიპი კი ის კაცია, ვინც ზიდანის დიდ ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

როდესაც ზიდანი „ბორდოდან“ ტურინში გადავიდა, მას თამაშის სტილისა და გატანილი გოლების სიმცირის გამო მეტისმეტად აკრიტიკებდნენ. სწორედ მაშინ ედგა ფეხბურთელს მხარში მარჩელო ლიპი. ასეთი პერიოდი ექვს თვეს გაგრძელდა, ექვსი თვე კი ფეხბურთელის ცხოვრებაში, დაგვეთანხმებით, ცოტა არ არის.

თავის მხრივ, „ინტერს“ მობეზრდა უსკუდეტოო წლები. თერთმეტი სეზონია, მილანელებს იტალიის ჩემპიონის ტიტული არ მოუგიათ და გაისად ლიპის ხელმძღვანელობით უეჭველად შეეცდებიან ნავსის გატეხვას. ხოლო თუ ლიპიმ ზიდანსაც უხმო...

ახლა ყველას მოაგონდა: ფრანგმა გამთამაშებელმა გასული წლის ნოემბერში მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „იუვენტუსთან“ ახალ კონტრაქტს აღარ მოაწერს ხელს. როგორც ამბობენ, ზიდანის ახლანდელ ხელშეკრულებას ტურინის კლუბთან ვადა 2002 წელს გაუდის, მაგრამ 2002 წელი რომ დადგება, მოთამაშე ბოსმანის წესის თანახმად ისე წავა გუნდიდან, რომ სანაცვლოდ ტურინში ერთი ლირაც არ დარჩება. შესაბამისად „იუვენტუსს“ მისი გაყიდვა უჯობს. მაგრამ როდის?

არის ერთი ვარიანტი: იმისთვის, რომ ალესანდრო დელ პიეროს ახალი კონტრაქტი გააფორმებინონ და თავისთან დაიტოვონ, ტურინელებს გვარიანი თანხა სჭირდებათ და იქნებ ეს თანხა სწორედ ზიდანის გაყიდვამ მოუტანოთ.

# ისინი ამას არ დაუშვებენ

— ჩვენ მაინც ფავორიტებად ვრჩებით — თქვა „მარსელის“ მცველმა პატრიკ ბლონდომ მას შემდეგ, რაც კლუბის ცუდ შედეგებზე ისაუბრა.

ამბობენ, „მარსელი“ კრიზისშიაო. ძნელია ამ თემაზე გადაჭრით საუბარი, მაგრამ გუნდს რომ უჭირს, ეს ბოლო ხანებში ნათლად გამოჩნდა.

ჩემპიონთა თასის მფლობელმა ერთადერთმა ფრანგულმა კლუბმა ჩემპიონატის ბოლო სამი თამაშიდან ორი წააგო. ჯერ იყო და პირველობისთვის ბრძოლაში უშუალო კონკურენტ „ბორდოსთან“ შერცხვა — 1:4, ბოლო ტურში კი სულაც სუსტ „ტულუზთან“ დამარცხდა 0:1. წაგებებმა „მარსელის“ სატურნირო მდგომარეობაზეც იმოქმედა — კლუბი „ბორდოს“ შემდეგ მეორეა.

— გუნდის განწყობას კარგს ვერ უწოდებ, არც შიდა სიტუაციაა სახარბიელო — როლანდ კურბისს, „მარსელის“ მწვრთნელს, უკეთ მოეხსენება გუნდში შექმნილი მდგომარეობა.

იქნებ მართლაც ასეა. არაა გამორიცხული, რომ ბორდოში განადგურებას კლუბში ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა გაერთულებინა, მაგრამ ახლა ამის დრო არ არის. დაუშვებელია, ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდში განხეთქილება მოხდეს. ამის სანაცვლოდ „მარსელს“ სანუკვარ მიზანთან განშორება მოუწევს, რაც საეჭვოა, ვინმეს სურდეს.

გულშემატკივრებს არ აინტერესებთ, რა ხდება „მარსელში“. მათ საყვარელი კლუბის გამარჯვება უნდათ. ქომაგებს სურთ, „მარსელი“ მუდამ პირველი იყოს.

— თითქოს ჩვენს შორის ურთიერთობა გაცივდა. ყველა გულჩათხრობილს ჰგავს. თუმცა ასე დიდხანს არ გაგრძელდება. ყველა ჩვენთაგანი მიხვდება, რომ ასეთი ურთიერთობით შორს ვერ წავალთ და სწორედ მაშინ ნახავენ გულშემატკივრები ძველ „მარსელს“. მერწმუნეთ, ეს მალე მოხდება — ახლა ფაბრიციო რავანელი და კვლავ ოპტიმისტური სიტყვები.

ჩემპიონატის დასასრულამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. მარსელელები ჯერჯერობით მეორენი არიან. ლიდერ „ბორდოს“ ქულით ჩამორჩებიან. საეჭვოა, კურბისის ბიჭებმა ჩემპიონობა იოლად დათმონ. 1993 წლის შემდეგ ხომ მთელი ექვსი წელიწადი გავიდა!

...1993 წლის „მარსელი“ ბოლოჯერ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი. ასეთი კლუბისათვის ექვსი უტიტულო სეზონი ძალიან დიდი დროა.



სარბიელის არქივიდან

ამ ბოლო დროს ფაბრიციო რავანელს ასე აღარ უხარია

# რაც მოხდა, მოხდა...

მადრიდის „ატლეტიკოს“ დროებით მწვრთნელს, კარლოს აგიარს დღეს შანსი ეძლევა კლუბთან ხანგრძლივ კონტრაქტს მოაწეროს ხელი — ესპანეთის თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრაში მადრიდელები ბარსელონის „ესპანიოლს“ ეთამაშებიან.

აგიარს გუნდის ხელმძღვანელობა ორშაბათს, არიგო საკის გადადგომის მერე დაეკისრა. საკი, მოგეხსენებათ, შაბათს, სწორედ „ესპანიოლთან“ დამარცხების მერე დაემშვიდობა თანამდებობას.

„ესპანიოლის“ ნახევარმცველი, მოისეს არტეაგა, რომელმაც „ატლეტიკოს“, ოთხი დღის წინ, გადამწყვეტი გოლი გაუტანა, აღიარებს, რომ დღევანდელი შეხვედრა შესაძლოა ძალიან დიდ ბრძოლად იქცეს.

„აშკარაა, მადრიდელები სათამაშოდ გამძვინვარებულნი გამოვლენ, რათა დაამტკიცონ, რომ არც ისე ცუდები არიან“ — უთხრა არტეაგამ ჟურნალისტებს.

მისმა თანაგუნდელმა, პაჩეტამ კი დასძინა:

„მადრიდელები უთუოდ შურის საძიებლად იქნებიან მომართულნი, მაგრამ ჩვენი დამარცხება იოლი საქმე არ გახლავთ. „ესპანიოლი“ დღეისათვის ძალიან კარგ ფორმაშია და ნებისმიერი მეტოქე ფრთხილად უნდა იყოს“.

„ატლეტიკოსთვის“ კი დაკარგული ფორმის აღდგენა აუცილებელია. გუნდმა პრიმერა დივიზიონში ზედიზედ სამ შეხვედრაში იწვნია მარცხი. ამას დაამატეთ გუნდის გამთამაშებლის, ვლადიმირ იუგოვიჩის ჯანმრთელობაც — იუგოსლაველი „ესპანიოლთან“ შეხვედრის 71-ე წუთზე შეცვალეს და ჯერ ცნობილი არაა, შეძლებს თუ არა ამ საღამოს მოედანზე გასვლას.

„ატლეტიკოს“ თანაქალაქელი, „რეალი“, ასევე ვალდებულია გაიმარჯვოს. დღეს მისი მოწინააღმდეგეა „სანტანდერი“, რომელსაც „სამეფო გუნდი“ სტუმრად უნდა ეწვიოს.

„რეალის“ ვალდებულება კვირას, „ბარსელონასთან“, სამარცხვინოდ, 0:3 წაგებიდან მოდის. აღსანიშნავია, რომ მადრიდელები კვლავ გერმანელი მეკარის, ბოდო ილგნერის გარეშე იქნებიან, რაც, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ მათ კარს კატალონიაში სამი გოლის გამშვები, პედრო კონტრერასი, დაიცავს.

„მალიორკა“, შაბათს, „რეალ სოსიედადთან“ (1:0) მოგების შემდეგ პრიმერა დივიზიონის ცხრილში მეორე ადგილზე რომაა, ალბათ დღესაც ორგანიზებულად შეებრძოლება „დეპორტივო ლა კორუნიას“.

რაც შეეხება „ბარსელონას“ შეხვედრას „ვალენსიასთან“, იგი ხვალისთვის გადადეს.

რეგულარული ჩემპიონატი

NBA

# მეფეებს ჯაზი არ უყვართ

REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან




იუტა — საკრამენტო. ვაშინგტონიდან საკრამენტოს „სამეფო კარზე“ გასხვისებული კრის ვებერი კარლ მელოუნის (32) იუტას ოვერტაიმშიღა დანებდა

15 თებერვალი

### იუტა 120:112 საკრამენტო

**იუტა:** სტოქტონი (10 ქულა, 15 პასი), ჰორნაჩეკი (13), რასელი (25), მელოუნი (26), ოსტერტაგი (3); ეისლი (15), ანდერსონი (13), ბეილი (9), კიფი (2), ფოსტერი (2), ფალერი (2)

**საკრამენტო:** ვილიამსი (19), აბდულვაჰადი (10), ვილიამსონი (9), ვებერი (26 ქულა, 11 მოხსნა), დივაცი (8 ქულა, 10 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (16), ფანდერბურკი (12), ბერი (10), ოლი (2)

შარშან, ჯერ კიდევ ლოკაუტის დაწყებამდე, საკრამენტომ და ვაშინგტონმა ერთმანეთში მოთამაშეები გაცვალეს, რის შემდეგადაც „საკრამენტო კინგზმა“ ორი ვეტერანის — მიჩ რიჩმონდისა და ოტის ტორპის ნაცვლად ახალგაზრდა თავდამსხმელი კრის ვებერი მიიღო. უდაოა, რომ ეს ცვლილება კალიფორნიულ გუნდს უფრო მოუხდა, ვიდრე დედაქალაქურს. მეფეებს აგრეთვე ძალიან გამოადგათ შარლოტიდან გადასული იუგოსლაველი ცენტრი ვლადე დივაცი, იმედები გაამართლა დრაფტში მეშვიდე ნომრად აყვანილმა უკანახაზელმა ჯეისონ ვილიამსმაც და ახალი მწვრთნელის, რიკ ადელმანის ხელში მშვენიერი გუნდიც ჩამოყალიბდა, რომელმაც თავისუფლად შეიძლება იფიქროს ფლეი ოფში მოხვედრაზე. არცთუ ურიგო სტარტის, ოთხ თამაშში ორი მოგების შემდეგ „კინგზი“ ჯერაც დაუმარცხებელ მრისხანე იუტას ეწვია სოლტ ლეიკ სიტიში და ორგზის ფინალისტს ტოლსწორად შეება. ეგ კი არა, მოგებაც შეეძლო, მაგრამ „ჯაზის“ გამოცდილებამ თავისი გაიტანა... ჩვეულად გაისარჯა კარლ მელოუნი, თუმცა გაცილებით მეტს შეძლებდა, მის მეურვეს, ზემოთ ნახსენებ კრის ვებერს რომ არ ევაჟკაცა. მეტოქე გუნდების ლიდერებმა გვარიანად გააწამეს ერთმანეთი და თანაბარი რაოდენობის ქულებსაც მოუყარეს თავი.

მატჩი თავიდანვე დაძაბულად წარიმართა. მართალია, იუტამ მეორე ნახევარში საკმაოდ სოლიდური — 13-ქულიანი უპირატესობის მოპოვება მოახერხა, მაგრამ საკრამენტო კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და ბოლო თორმეტწუთეულში იუტას ამ უპირატესობისგან აღარაფერი დარჩა. ის კი არა, საკრამენტო პერიოდულად წინაც ახერხებდა გასვლას. მეოთხე მეოთხედის დამთავრებამდე 47 წამით ადრე ახალბედა ჯეისონ ვილიამსმა იუტას სამქულიანი ჩაუგდო და 103:100 გახადა. იუტამ კარს მომდგარი საფრთხე იგრძნო და მძლავრად გაიბრძოლა. კარლ მელოუნმა სამქულიანის სროლა დააპირა და მეურვე კრის ვებერი მასზე დაჯარიმდა. ამით მელოუნმა ორი კურდღელი დაიჭირა, ერთი, რომ ეს ჯარიმა ვებერისთვის მეექვსე გამოდგა და ბრძოლას გამოეთიშა, მეორეც, კუთვნილი სამი ჯარიმა ჩააგდო და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. დამატებითი დრო კი იუტას სასარგებლოდ მოქმედებდა, რადგან ვებერამდე ექვსექვსი ჯარიმით გუნდის სხვა ლიდერები — ცენტრი დივაცი და ფრთა ვილიამსონიც გავარდნენ. ასეთი მძლავრი წინახაზელების გარეშე კი საკრამენტო ვერას გახდა მასპინძელთან. იუტამ სტარტზე ზედიზედ მეექვსე მოგებით გუნდის ისტორიაში საუკეთესო შედეგს მიაღწია.

### მაიამი 95:72 ნიუ ჯერსი

**მაიამი:** მურნინგი (34 ქულა, 17 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი:** ვან ჰორნი (19)

ჯერ კიდევ შარშან საკმაოდ ძლიერ, ახლა კი დაჩაჩანაკებულ ნიუ ჯერსის მხოლოდ ერთი, მაიამელი ალონზო მურნინგი ეყო. წინა მატჩებში ნაკლებად თავგამოჩენილმა 208-სანტიმეტრიანმა ცენტრმა თავი გაიგიჟა. მისი გაჩერება ვინ არ სცადა, მაგრამ ვერც ჯეისონ ვილიამსმა, ვერც რონი საიკლიმ და კრის გატლინგმა ხელი ვერ შეუშალეს. მურნინგმა 37 ქულას დაცვაში ბრწყინვალე თამაშიც დაურთო და 17 მოხსნა და 7 დაფარებაც გააკეთა.

### ნიუ იორკი 78:69 დეტროიტი

**ნიუ იორკი:** ჰიუსტონი (19)

**დეტროიტი:** ჰილი (31)

ნიუიორკელებს მხოლოდ ერთი დეტროიტელი გრანტ ჰილი ებრძოდა, მაგრამ მარტოკაცმა „ნიქსს“ ბევრიც ვერაფერი მოუხერხა. მასპინძლებმა მართალია შეტევაში თავი მაინცდამაინც ვერ გამოიჩინეს, მაგრამ დაცვაში ბრწყინვალენი იყვნენ და ზედიზედ მესამე მატჩი მოიგეს. დეტროიტმა კი სტარტზე სამი გამარჯვების შემდეგ ამდენივე წააგო.

### დენვერი 106:115 ფინიქსი

**დენვერი:** სტისი 23), ვან ექსელი (21)

**ფინიქსი:** კიდი (28 ქულა, 13 პასი, 11 მოხსნა), მაკლაუდი (24)

მატჩის დასაწყისი სტუმრებისთვის კარგს არაფერს მოასწავებდა. ყოფილი ფინიქსელის — ანტონიო მაკდაიესის (20 ქულა, 12 მოხსნა), ნიკ ვან ექსელის და ჩონსი ბილუპსის ძალისხმევით მასპინძლებმა შავი დღე აყარეს მეტოქეს და პირველი მეოთხედი 35:19 მოუგეს, მაგრამ დენვერი მხოლოდ ამ პერიოდში მძლავრობდა, დანარჩენი დრო კი ფინიქსის, განსაკუთრებით მისი თეთრი გამთამაშებლის — ჯეისონ კიდის იყო. ამ უკანასკნელმა მართლაც ბრწყინვალედ ითამაშა და სეზონში პირველი, კარიერაში კი მე-20 სამმაგი დუბლი გაიხერხა. „სამმაგ დუბლზე იმდენად არ ვფიქრობდი, რამდენადაც მოგებაზე. პირველი მეოთხედის შემდეგ ყველაფერი დამთავრებული მეგონა, მაგრამ თანაგუნდელებისგან მხარდაჭერა ვიგრძენი და ამან გადაგვარჩინა“ — თქვა კიდმა თამაშის შემდეგ. თავის მხრივ დენვერი, შარშანდელივით ლიგის ყველაზე უსუსური გუნდი აღარაა, მაგრამ შვიდ ჩატარებულ შეხვედრაში მხოლოდ ერთი მოგება იზეიმა.

### პორტლენდი 99:84 დალასი

**პორტლენდი:** საბონისი (16 ქულა, 10 მოხსნა, 9 პასი)

**დალასი:** ფინლი (21)

ძნელია, თანამედროვე კალათბურთში ლიტველ ცენტრ, არვიდას საბონისზე ინტელექტუალური მოთამაშე ვიპოვოთ. საბონისი ახლაც გამორჩეული ფიგურაა ნბა-ში და რამდენიმე წლით ახალგაზრდა რომ იყოს, თანაც ქრონიკული ტრავმები წამდაუწუმ თავს არ ახსენებდეს, ბევრი ვერავინ შეუშლიდა ხელს, ნბა-ს ერთ-ერთი უპირველესი ცენტრი გამხდარიყო. გარდა იმისა, რომ ფარქვეშ მშვენივრად ირჯება, ლიტველს ცენტრისთვისთ ნაკლებად დამახასიათებელი თვისებებიც (სამქულიანების სროლა და პასის მიცემა) აქვს. უსუსურ დალასში ვერავინ აღმოჩნდა მისი გამჩერებელი. მას ვერც თვით 229-სანტიმეტრიანმა აყლაყუდა შონ ბრედლიმ მოუხერხა რამე. ბალტიისპირელს კი მხოლოდ ერთი პასი დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

### გოლდენ სტეიტი 101:99 მინესოტა

**გოლდენ სტეიტი:** ჯემისონი (21 ქულა, 11 მოხსნა)

**მინესოტა:** გარნეტი (29 ქულა, 10 მოხსნა), გარეტი (22)

თითქოს მინესოტას უნდა მოეგო თავისზე სუსტი მეტოქისთვის, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ, წინა მატჩებში არაფრით თავგამოჩენილმა ახალბედამ, სანფრანცისკოელმა ანტუან ჯემისონმა მაინცდამაინც ახლა გაიგიჟა თავი. გარდა იმისა, რომ ჯემისონი თავისიანებში ყველაზე შედეგიანი იყო, ოთხი წამით ადრე გადამწყვეტი ბურთიც ჩაუგდო მინესოტას და მასპინძლები სეზონში მეორედ გაახარა.

ირაკლი ფირაშვილი

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ორლანდო | 5 | 1 | 83,3 |
| ფილადელფია | 4 | 1 | 80,0 |
| ნიუ იორკი | 3 | 2 | 60,0 |
| მაიამი | 3 | 3 | 50,0 |
| ბოსტონი | 2 | 2 | 50,0 |
| ვაშინგტონი | 1 | 3 | 25,0 |
| ნიუ ჯერსი | 1 | 4 | 20,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 3 | 1 | 75,0 |
| ატლანტა | 4 | 2 | 66,7 |
| ინდიანა | 4 | 2 | 66,7 |
| დეტროიტი | 3 | 3 | 50,0 |
| კლივლენდი | 2 | 3 | 40,0 |
| ტორონტო | 1 | 3 | 25,0 |
| ჩიკაგო | 1 | 4 | 20,0 |
| შარლოტი | 1 | 4 | 20,0 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 6 | 0 | 100 |
| ჰიუსტონი | 4 | 1 | 80,0 |
| მინესოტა | 4 | 2 | 66,7 |
| სან ანტონიო | 4 | 3 | 57,1 |
| ვანკუვერი | 2 | 3 | 40,0 |
| დალასი | 1 | 6 | 14,3 |
| დენვერი | 1 | 6 | 14,3 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 5 | 0 | 100 |
| ფინიქსი | 4 | 2 | 66,7 |
| პორტლენდი | 3 | 2 | 60,0 |
| ლეიკერსი | 3 | 3 | 50,0 |
| საკრამენტო | 2 | 3 | 40,0 |
| გოლდენ სტეიტი | 2 | 5 | 28,6 |
| კლიპერსი | 0 | 5 | 0 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისის ჩემპიონატი.** პრემიერლიგა

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ლიდსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ჩელსი — ბლექბერნი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| ევერტონი — მიდლსბრო | 2,1 | 2,9 | 3,8 |
| მანჩესტერი — არსენალი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ნიუკასლი — ქოვენთრი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

**ჰოლანდიის ჩემპიონატი**

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერენვენი — აიაქსი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| ნაიმეგენი — ტილბურგი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ვალვაიკი — სიტარდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ვიტესი — ბრედა | 1,1 | 6,0 | 12,0 |

18 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი — ტვენტე | 1,7 | 3,0 | 4,7 |

**შოტლანდიის ჩემპიონატი**

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — კილმარნოკი | 1,35 | 3,8 | 7,0 |

**ინგლისის ლიგის თასის ნახევარფინალი.** საპასუხო მატჩი

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლესტერი — სანდერლენდი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

**იტალიის თასის ნახევარფინალი.** პირველი მატჩები

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინტერი — პარმა | 1,5 | 3,2 | 6,5 |

18 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — ფიორენტინა | 2,3 | 2,8 | 2,9 |

**ესპანეთის თასის მეოთხედფინალი.** პირველი მატჩები

18 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — ვალენსია | 1,5 | 3,2 | 6,5 |

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| რასინგი — რეალი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| მალიორკა — დეპორტივო | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ატლეტიკო — ესპანიოლი | 1,5 | 3,3 | 6,0 |

**თურქეთის თასის ნახევარფინალი.** პირველი მატჩები

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| საქარია — გალათასარაი ($15^{00}$) | 7,0 | 3,8 | 1,35 |
| ანკარაგიუჯუ — ბეშიქთაში | 4,0 | 3,0 | 1,8 |

**ჰოკეი. NHL**

17 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — ტორონტო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ნიუ ჯერსი — ტამპა ბეი | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| აილენდერსი — პიტსბურგი | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| რეინჯერსი — მონრეალი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| დეტროიტი — სან ხოსე | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ჩიკაგო — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| დალასი — ფლორიდა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ანაჰაიმი — ედმონტონი | 1,7 | 4,4 | 2,4 |

18 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ოტავა — ბოსტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ფილადელფია — მონრეალი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| კაროლინა — ვაშინგტონი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| სენტ ლუისი — ფლორიდა | 1,8 | 4,4 | 2,2 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## მაკლარენ ინტერნეშენალი



მიკა ჰაკინენი
ფინეთი

დაიბადა 1968 წლის 28 სექტემბერს ჰელსინკიში
ჰყავს მეუღლე, ცხოვრობს მონაკოში.
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991, აშშ-ის დიდი პრიზი („ლოტუსი")
112 რბოლა, 9 გამარჯვება, 10 პოული, 7 სწრაფი წრე, 218 ქულა
1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი

McLaren

გუნდის შეფი რონ დენისი
ტექნიკური დირექტორი ედრიან ნიუი
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1966, მონტეკარლო
მსოფლიოს ჩემპიონი კონსტრუქტორთა შორის: 8 (1974, 1984, 1985, 1988, 1989, 1990, 1991, 1998)
მსოფლიოს ჩემპიონი პირად პირველობაში: 10 (1974, 1976, 1984, 1985, 1986, 1988, 1989, 1990, 1991, 1998)
476 რბოლა, 116 გამარჯვება, 92 პოული, 80 სწრაფი წრე, 2303,5 ქულა
შასი: მაკლარენ-MP-14
ძრავა: მერსედეს-FO110HV10
საბურავები: „ბრიჯსტოუნი"

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP



დევიდ კულჰარდი
დიდი ბრიტანეთი

დაიბადა 1971 წლის 27 მარტს ტვინჰოლმში, შოტლანდია
უცოლო, ცხოვრობს მონაკოში.
დებიუტი ფორმულა 1-ში: 1994, ესპანეთის დიდი პრიზი („უილიამსი")
74 რბოლა, 4 გამარჯვება, 8 პოული, 8 სწრაფი წრე. 173 ქულა



მსოფლიოს ჩემპიონმა მიკა ჰაკინენმა „მაკლარენის" ახალი ბოლიდი მონტმელოს ტრასაზე გამოსცადა

# სრულიად საიდუმლოდ

ფორმულა 1-ის მოყვარულები და სპეციალისტები მოუთმენლად ელოდნენ მსოფლიოს ჩემპიონ „მაკლარენის" ახალ ბოლიდს. ყველას აინტერესებდა, რა სიახლეებს წარმოადგენდა გუნდი. ჩემპიონის ბოლიდი მზად გახლავთ და პირველი ტესტებიც წარმატებით ჩაატარა. მაგრამ სიახლეთა შესახებ კონკრეტული არაფერი თქმულა. შარშანდელი მწარე გაკვეთილის მერე („ფერარის" პროტესტის შემდეგ ფია-მ წესების დარღვევად მიიჩნია „მაკლარენის" მუხრუჭების სისტემა) გუნდის ხელმძღვანელობამ საიდუმლოდ შეინახა ის ცვლილებები და გამოგონებები, რომლებიც კონსტრუქციაშია შეტანილი. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ბოლიდის 90 პროცენტი სრულიად ახალი გახლავთ.

გუნდის შეფმა სიახლეთა თაობაზე ეს თქვა: „ახალ მანქანას აქვს ისეთი ნაწილები, რომელთა შესახებაც ჩვენ არ გვსურს საუბარი და არც ვაპირებთ წარმოგიდგინოთ ისინი, რადგან ჩვენმა ოპოზიციამ ეს შესაძლრა ჩვენსავე წინააღმდეგ არ გამოიყენოს".

კონსტრუქტორი ნიუი კმაყოფილია თავისი ქმნილებით და აცხადებს, მოდელი შარშანდლის ევოლუცია კი გახლავთ, მაგრამ იგი დაკომპლექტებულია ბევრი ახალი ნაწილით, ავტომობილი უკეთესი და უფრო სწრაფი უნდა იყოს, ვიდრე შარშანდელი ბოლიდიო.

„მერსედესის" წარმომადგენლის ნორბერტ ჰაუგის თქმით, ახალ შასიზე ახალი, 10-ცილინდრიანი ძრავა დამონტაჟდება, რომელიც უფრო მძლავრი, მსუბუქი და გამძლეა. ეს სიახლე მეტად დამაფიქრებელი უნდა იყოს მეტოქეთათვის, რადგანაც „მერსედესის" ძრავას არც შარშან აკლდა ცხენის ძალები.

გუნდმა შეინარჩუნა პილოტთა წყვილი, რომელიც ალბათ საუკეთესოა დღევანდელ ფორმულაში. უპირატესობა, ალბათ, მსოფლიოს ჩემპიონ მიკა ჰაკინენს ექნება, რომელიც მომავალ სეზონს ასე ახასიათებს: „წლეულსაც მძიმე სამუშაო გველის, მაგრამ მე უკვე მაქვს საამისო გამოცდილება, როგორ მოვიგო რბოლები და როგორ გავხდე ჩემპიონი, რაც გარკვეულად მამშვიდებს. წლეულს უკეთ უნდა ვიასპარეზო, რადგან ტიტულის შენარჩუნება რთული იქნება და ამისთვის პირველ რიგში დევიდი უნდა დავამარცხო".

დევიდ კულჰარდი კი ასე ფიქრობს: „წლევანდელ სეზონში კონკურენცია უფრო მძაფრი იქნება არა მარტო იმიტომ, რომ ყველა გუნდი ერთნაირი საბურავებით იასპარეზებს, არამედ იმიტომაც, რომ წინა საბურავებზე მეოთხე ღარიც დაემატა. მე ვიცი, რომ თუ ჩემს სამუშაოს კარგად შევასრულებ, ჩემპიონობის შანსი მაქვს. მიკა ძალიან სწრაფია და თუ მის ჩამოტოვებას შევძლებ, რბოლების მოგების საშუალება გამიჩნდება, თუ, რა თქმა უნდა, ბოლიდი ისეთივე კარგი იქნება, როგორც შარშან".

აშკარაა, არც ერთ პილოტს გამარჯვების სურვილი არ აკლია, ასე რომ, სხვა გუნდებთან გაჯიბრების გარდა მათ ურთიერთპაექრობასაც უნდა ველოდოთ. ეს საკმაოდ დამაფიქრებელი უნდა იყოს გუნდისთვის, თუმცა „მაკლარენისთვის", რომლის რიგებში გამოდიოდნენ ლაუდა-პროსტის, პროსტ-სენას წყვილები, ეს უჩვეულო არ უნდა იყოს.

პირველმა ტესტებმა დაგვარწმუნა, რომ ახალი მოდელი მართლაც შესანიშნავადაა მომზადებული და გუნდი ჩემპიონობის უპირველესი კანდიდატი გახლავთ.

ალეკო ტაბუკიანი



# ექნებათ ინგლისელებს ენდი რიდის რიდი?

5 Nations
ხუთი ერის პირველობა

უელსელებისგან განსხვავებით, რომელთაც შოტლანდიელებმა ხუთი ერის პირველობის საწყის მატჩში 33:20 სძლიეს, მეორე ტურში სკოტებს გაცილებით ძლიერ მეტოქესთან მოუწევთ დაპირისპირება. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ დღესდღეობით ინგლისის ნაკრები უელსისაზე ძლიერია. ალბიონელები ხომ წლევანდელი გათამაშების ფავორიტები არიან ფრანგებთან ერთად, თუმცა ინგლისელებს მცირე უპირატესობა აქვთ — მეოთხე ტურში ალბიონელები „მამლებს" დაუხვდებიან. ინგლისელებთან შეხვედრისთვის სკოტთა თავკაცს ჯიმ ტელფერს მობურთალთა ტრავმებმა გვარიანი საფიქრალი გაუჩინა.

ჯერ იყო და დანკან ჰოჯიმ უელსელებთან საწყის მატჩში ფეხი მოიტეხა. მერე მის გზას დოდი ვეირიც მიჰყვა. „ძირითადის ორი მოთამაშის დაშავება ნამდვილად დიდი პრობლემაა, მაგრამ იმედი მაქვს, მათი შემცვლელები ღირსეულად გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას, მით უმეტეს, გამოცდილება არც ერთს აკლია და ნაკრებშიც უთამაშიათ" — განაცხადა ტელფერმა. ჰოჯის და ვეირის შემცვლელებად კი მწვრთნელს კრეგ ჩალმერსი და ენდი რიდი შეუგულებია. რიდს ნაკრებში მას შემდეგ აღარ უთამაშია, რაც სკოტები ორი წლის წინ შერცხვნენ ფრანგებთან. მისი დებიუტი კი ქვეყნის უპირველეს გუნდში ედინბურგის „მარიფილდზე" შედგა 1993 წელს ირლანდიელების წინააღმდეგ. დებიუტი იმდენად შთამბეჭდავი აღმოჩნდა, რომ მობურთალი იმავე წელს „ბრიტანელ ლომებს" (ოთხივე ქვეყნის ნაკრები) ზელანდიურ ტურნეზე ახლდა. ვეირის შემცვლელის შესაძლო კანდიდატებად მასთან ერთად სტიუარტ კემპბელი და რიჩარდ მეტკალფი ითვლებოდნენ, მაგრამ საბოლოო არჩევანი ტელფერმა რიდზე შეაჩერა, რადგან, მწვრთნელის აზრით, კემპბელს ზურგის ტრავმის გამო ერთთვიანი იძულებითი დასვენების შემდეგ სანაკრებო ფორმა ჯერ ვერ აღუდგენია. მეტკალფი კი უნიათოდ გაისარჯა უელსელების წინააღმდეგ და ამადაც ვერ მოხვდა შემადგენლობაში. თავად მორაგბე მწვრთნელის გადაწყვეტილებას უზომოდ გაუხარებია — „უბედნიერესი კაცი ვარ. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ჯიმ ტელფერს ნდობისთვის. ამჟამად ბოლო შვიდი წლის განმავლობაში საუკეთესო ფორმაში ვარ და ამას ინგლისელებთან მატჩში დავამტკიცებ".

სკოტების სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

*მორკინალები:* სტივენ ბრაზერსტოუნი, გორდონ ბალოქი, პოლ ბარნელი, სტიუარტ გრიმსი, დევიდ ჰილტონი, მარტინ ლესლი, სკოტ მიურეი, ერიკ პეტერსი, ბაჯ პუნტნი, ენდი რიდი, ტომ სმიტი, პიტერ უოლტონი.

*უკანა ხაზი:* გარი არმსტრონგი, კრეგ ჩალმერსი, იან ფერლი, ჯონ ლესლი, კენი ლოგანი, გლენ მეტკალფი, შონ ლონგსტაფი, კამერონ მიურეი, ალან ტაიტი, გრეგორ თაუნსენდი

საერთაშორისო არქივიდან



ენდი რიდს (ბურთით) ორწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ უხმეს ნაკრებში

# ფული გინდა, მოგება არა?!

შოტლანდიელების დარად, მეორე ტურის მატჩში უელსელებსაც ექნებათ დანაკლისი, თუმცა მათი თავკაცი გრეჰემ ჰენრი, თავისი შოტლანდიელი კოლეგისგან განსხვავებით, უფრო რთულ მდგომარეობაშია. საქმე ისაა, რომ უელსელებს ერთბაშად ექვსი მობურთალი ჰყავთ დაშავებული, თუმცა ამ ექვსიდან ხუთმა შესაძლოა შაბათს მაინც მოირგოს ნაკრების მაისური. ერთი კი — ალან ბეითმენი — ნამდვილად ვერ ითამაშებს ირლანდიელებთან. ალბიონზე მობურთალმა კვირას მიიღო ტრავმა ინგლისის ჩემპიონატის მატჩში „რიჩმონდსა" და „სეილს" შორის. შეხვედრა, რომელიც 29:24 დასრულდა „რიჩმონდის" სასარგებლოდ, მეტად დაძაბული და უხეში გამოდგა. ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმზე ითქმის, როცა მოედნიდან სამი მობურთალი გაიყვანეს საკაცით. ერთ-ერთი მათგანი ალან ბეითმენი იყო. კრეგ ქვინელს მუხლის ტრავმა აწუხებს, დევიდ იონგს კი ქუსლი სტკივა. ქვინელმა მუხლი პირველობის საწყის მატჩში დაიშავა, იონგს რაც შეეხება, მას ქუსლის ტრავმა კარგა ხანია, აწუხებს და ბოლომდე ჯერაც ვერ მოუშუშებია. კიდევ სამი მოთამაშე, რომლებმაც შესაძლოა ირლანდიელების წინააღმდეგ ვერ ითამაშონ სკოტ გიბსი, მეტიუ რობინსონი და გარი ლუისი არიან. სამივე კვირას, ვარჯიშის დროს დაშავდა, თუმც როგორც ნაკრების ექიმები ამბობენ, შაბათისთვის იქნებ სამივე გამოჯანმრთელდეს, თუ არა და, ჰენრის სასწრაფოდ მოუწევს მათი შემცვლელის მოძებნა, რაც შეიძლება ზედიზედ მეორე წაგებად დაუჯდეს. ასეთი პერსპექტივა კი ნამდვილად არ ხიბლავს ქვეყნის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობას ერთ-ერთი ჩინოვნიკის განცხადებით, შოტლანდიასთან მატჩში კავშირი ჰენრისგან მხოლოდ და მხოლოდ მოგებას მოითხოვდა, მან კი ყველა იმედი გაუცრუათ. მისივე აზრით, მწვრთნელს არ ჰქონდა ისეთი განცხადების უფლება, როგორიც მან ორშაბათს ტელევიზიით გამოსვლისას გააკეთა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი წვლილი მიუძღვის უელსური რაგბის განვითარებაში. თავად ჰენრიმ კი ტელევიზიით გამოსვლისას ასეთი რამ თქვა: „ყოველთვის მოგებული ვერავინ იქნება და არც ისე მოხდება, რომ ყოველთვის წაგებული დარჩე. ხან მოიგებ, ხან წააგებ. სამწუხაროდ, ჩვენ პირველ მატჩში დავმარცხდით, ასეთი რამ შეიძლება შაბათსაც დაგვემართოს, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. დრო მოვა და ჩვენ გავიმარჯვებთ. ისე კი, რაც უფრო მალე მოვა ეს დრო, მით უკეთესი ჩვენთვის". ბუნებრივია, მწვრთნელის ასეთმა განცხადებამ უელსური რაგბის მამათა უკმაყოფილება რომ გამოიწვია, მათ ხომ ჰენრი პლანეტის ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე მწვრთნელად აქციეს.

ბაატა თოთაძე

ოლიმპიზმი

# ფიცი გვწამს, სოკი გვაკვირვებს




სამარანჩს სპონსორებიც აუჯანყდნენ




ოლიმპიურ სამყაროში დიდმოხელეთა მექრთამეობის გამო ავარდნილი ბინძური ალი სამშაბათს „სიდნეი — 2000“-ის საინიციატივო კამპანიასაც გადაედო. შეგახსენებთ, რომ მომავალ ზაფხულს გასამართი საზაფხულო თამაშების მასპინძლობის უფლება სიდნეიმ 1993 წელს პეკინთან პაექრობაში მოიპოვა. პაექრობის ბედი მაშინ მხოლოდ ორ ხმას გადაუწყვეტია... როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი სპონსორის, ამერიკული სადაზღვევო გიგანტი „ჯონ ჰენკონის“ პრეზიდენტი დევიდ დაალესანდრო აცხადებს, ეს ორი ხმა ავსტრალიელებმა „კომიტეტის წევრთა მოქრთამვით მიიღეს“. ამგვარი განცხადების საფუძველი მისტერ დალესანდროსთვის ავსტრალიელთა ოლიმპიური კომიტეტის მახვშის, ჯონ კოუტის ამასწინანდელ აღიარებას მიუცია. კოუტის თქმით, მან გადამწყვეტი კენჭისყრის წინ თავისი ცოლდვილი პირით აღუთქვა 78-78 ათასი დოლარი სოკი-ის კენიელ და უგანდელ წევრებს. „ეტყობა, კოუტმა არ იცის, რომ ამგვარ ქმედებას წიგნიერი ადამიანები სხვაგვარად „მოქრთამვას“ უწოდებენ. თუ იცის და ამაზე ლაპარაკს მაინც ასეთი უაპელაციო ტონით კადრულობს, მაშინ ცუდი ამბების გასაგებადაც მოემზადოს. თუმცა იმის გაგება, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, არა მგონია, ლოზანელ მამებსაც ესიამოვნოთ. თუკი სოკ-ი ვერ გააცნობიერებს, რომ მისი შემოსავალი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია მის რეპუტაციასთან, მაშინ უახლოეს მომავალშივე შევეცდებით, ეს ხელშესახები ფაქტებით გავაცნობიერებინოთ“. როგორც შემდეგ გაირკვა „ხელშესახებ ფაქტებში“ დალესანდრო სატელევიზიო რეკლამაში დასახარჯი 20 მილიონი დოლარის უკან ამოღებასა და თავისი ფირმის რამე-რუმეულიდან ოლიმპიური 5 რგოლის ამოშლასაც გულისხმობდა. კაცმა რომ თქვას, ხოლო ბიზნესში მეტნაკლებად გათვითცნობიერებულმა მოქალაქემ კვერი დაუკრას, მისტერ დალესანდროს ამგვარი განწყობა გასაგებიცაა: თქვენ არასგზით უნდა დაეზღვევინოთ იმ კომპანიას, რომლის საფირმო ნიშნის გვერდით ისეთ კომპრომეტირებული კანტორის სიმბოლო ფიგურირებს, როგორიც ამჟამად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტია.

კვერის დამკვრელები კი ბობოლა დამზღვევს საკმარისზე მეტი ჰყავს — სიდნეიში ჩაყრილი თუ ჩასაყრელი დოლარების ბედ-იღბალზე უკვე „ჯენერალ მოტორსი“ და „სამსუნგ ელექტრონიკსიც“ აყაყანდნენ. „ფულს ვინც იხდის, დავლურსაც ის უკვეთავს“ — ამბობენ სპონსორები — „ჩვენ მოვითხოვთ ცვლილებების შეტანას საინიციატივო პროცედურაში, გამჭვირვალეობას სოკ-ის შიგნით და ღირსეულ კაცს სამარანჩის შესაცვლელად“.

რაც შეეხება ენაწყლიან ჯონ კოუტს, მის შესახებ ვერც სიდნეისა და ვერც ლოზანაში ცუდს ვერაფერს გაიგებთ. იქ ოფიციალურად ითვლება, რომ იგი ოლიმპიური წესების ფარგლებში მოქმედებდა. როგორც ამაზე დევიდ დალესანდრო პასუხობს — „ფიცი გვწამს, მაგრამ სოკ-ი გვაკვირვებს“.

**ლევან ძელაურაძე**

ბიატლონი

# კუდმოჭრილი ჩემპიონატის უცნაურობანი

გაუსაძლისმა ყინვებმა თავისი დაღი დაასვა ბიატლონისტთა მსოფლიოს ჩემპიონატს. ჯერ იყო და, შეჯიბრება შეკვეცილი პროგრამით ჩატარდა (ჩემპიონატის სტარტი ხუთჯერ გადაიდო), მერე კი, ამდენი ლოდინისა და უსაქმოდ ყოფნის შემდეგ სათხილამურო უცნაურობანიც ბლომად დახვავდა: უკრაინელი ალიონა ზუბრილოვას ოქრო; ვაჟების ესტაფეტაში ბელარუსების პირველი და რუსების მეორე ადგილი, როცა გამარჯვება, საცა წესი და რიგია, ან გერმანელებს უნდა რგებოდათ ან ნორვეგიელებს; ოლიმპიური ჩემპიონისა და მსოფლიო თასის ლიდერის, ნორვეგიელი ოლე ბიორნდალენის ფანტასტიკური უიღბლობა ესტაფეტების მეოთხე ეტაპზე, როცა სპორტსმენმა წოლელა მდგომარეობიდან პირველი ხუთი გასროლიდან ვერც ერთი მოახვედრა მიზანს...

ბოლოს ყველაფერი მაინც ყინვებს დაბრალდა და მსოფლიოს 1999 წლის ჩემპიონატიც ისტორიას გადაულოცეს. პარასკევიდან კი ბიატლონისტები კვლავ გააგრძელებენ მსოფლიო თასისთვის ბრძოლას, რომელიც ასე თუ ისე მაინც ემორჩილება სპორტულ ლოგიკას.

**კონტიოლაჰტი. ფინეთი. ბიატლონი. მსოფლიოს ჩემპიონატი**

**ქალები**

7,5 კმ. სპრინტი
1. მარტინა ზელნერი (გერმანია)
2. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი)
3. ალიონა ზუბრილოვა (უკრაინა)

10 კმ.
1. ალიონა ზუბრილოვა
2. მარტინა შვარცბახეროვა (სლოვაკეთი)
3. მარტინა ზელნერი

4X7,5 კმ. ესტაფეტა
1. გერმანია
2. რუსეთ
3. საფრანგეთი

**კაცები**

10 კმ. სპრინტი
1. ფრანკ ლუკი (გერმანია)
2. პატრიკ ფავრე (იტალია)
3. ფრიოდე ანდრესენი (ნორვეგია)

12,5 კმ.
1. რიკი გროსი (გერმანია)
2. ფრანკ ლუკი (გერმანია)
3. სვენ ფიშერი (გერმანია)

4X7,5 კმ. ესტაფეტა
1. ბელარუსი
2. რუსეთი
3. ნორვეგია

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

წლეულს 19-26 ივლისს ესბერგში (დანია) გაიმართება ევროპის V ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები. საქართველოს წარმომადგენლები სპორტის 4 სახეობაში (ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ველოსპორტი, ძიუდო) იასპარეზებენ.

თამაშებზე აკრედიტაციის მსურველმა სპორტულმა ჟურნალისტებმა გთხოვთ მიმართოთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესცენტრს. ტელეფონი: 95-20-79, 95-45-29.

ესბერგში მივლინების ყველა ხარჯებს გადაიხდის ჟურნალისტი ან მისი მიმავლინებელი ორგანიზაცია.

განაცხადი მიიღება 1999 წლის 15 მარტამდე მისამართზე:

თბილისი, დავით აღმაშენებლის პროსპექტი №65.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეს-სამსახური**

# SOS

იზაბელ ოტისიე 42 წლის ფრანგი ქალბატონი ბრძანდება, ამიტომ მისი სახელი და გვარი, ისევე როგორც ფრანგი ქალების უმრავლესობისა, ადამიანში იმაზე გაცილებით სასიამოვნო ასოციაციებს იწვევს, ვიდრე ეს, ვთქვათ, აბობოქრებული ოკეანე და ამძუვნებული ვეშაპებია. არადა, მადამ ოტისიეს ხსენებაზე მსოფლიო საიახტკლუბო სამქროში იზაბელ აჯანიზე მეტად სწორედ მღვრიე წყალი, ათმეტრიანი ტალღები და ადამიანის სიმამაცით გაკვირვებული პინგვინები ახსენდებათ. იზაბელ ოტისიე „იახტსვუმენია“ და დედამიწის ირგვლივ ისეთივე შეუპოვარი სიმსუბუქით დამოგზაურობს, როგორც საბურთალოდან ვაკისკენ მიმავალი სამარშრუტო ტაქსი. ერთი ეგაა, დროდადრო მის იახტას ჩვეულებრივზე უფრო უზურგქარო ტალღა გადაუვლის და მაშინ გემბანის იქით აღმოჩენილი იზაბელიც სხვებთან ერთად გულწრფელად ნაღვლობს, შინ ბავშვებისთვის ძუძუს წოვების ნაცვლად ბედის ანაბარად რომ დაბორიალობს.

უკანასკნელად მისი ხმა ამ ერთი დღე-ღამის წინ გაიგონეს: მის მიერ თავისი პარიზელი მხარდამჭერებისთვის მობილურით მიწვდენილის შინაარსი ერთი სიტყვით გადმოიცემა — SOS. იზაბელის უკანასკნელი ბგერები ანტრაქტიდიდან წამოსულ ზვირთებს ჩაუხშვია... მოკლედ, იმ მომენტისთვის, როცა ეს „ექსპრომტაჟი“ იწერებოდა, ერთი ბედაური ფრანგი ქალი ქვეყნიერების განაპირას თავის გადაყირავებულ იახტას იყო გამოკიდებული და მთელ დედამიწაზე აღარავისი იმედი ჰქონდა, გარდა მასთან „გლობუსის ირგვლივ — მარტოხელა“ რეგატაში მოპაექრე ჯოვანი სოლდინისა. ბოლო ინფორმაციით, სოლდინი დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც ნელ-ნელა უახლოვდებოდა მას.

ჭიდაობა

# ქართველებმა მუსლიმებში იბაირამეს, შინ კი მარხულობენ

გუშინ, გამთენიისას, თურქეთიდან დაბრუნდა საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები. ჩვენები 12-14 თებერვალს იაშარ დოგუს სახელობის „ა“ კატეგორიის ტურნირში მონაწილეობდნენ.

ეს შეჯიბრი ანკარაში, ათათურქის სახელობის დარბაზში გაიმართა. სწორედ იქ, სადაც ოქტომბერში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება. ეს დარბაზი შემთხვევით არ აურჩევიათ. მასპინძლებს საკუთარი თავის გამოცდა სურდათ ორგანიზატორის როლში (რასაც თავი კარგადაც გაართვეს), მონაწილეებს კი აკლიმატიზაციის შესანიშნავი შანსი ეძლეოდათ. პრესტიჟთან ერთად ამანაც განაპირობა მონაწილეთა სიმრავლე — 20 გუნდი. რაოდენობის გარდა ტურნირი ხარისხობრივადაც წარმომადგენლობითი გამოდგა, რადგან არაერთმა სახელოვანმა ფალავანმა იასპარეზა.

ჩვენი ნაკრები ტურნირზე უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდა, თუმც მხოლოდ ერთი მედალი ხვდა, ისიც დებიუტანტმა იყოჩაღა — 58 კგ-ში ვერცხლის მედალი გორელმა ოთარ თუშიშვილმა მოიპოვა. ამ ბიჭს მსოფლიოსა თუ ევროპულ ახალგაზრდულ სარბიელზე ტიტულები არ აკლია, მაგრამ დიდებში პირველად იასპარეზა და რა გასახარია, რომ წარმატებით. მან ფინალი მასპინძელთან, მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსან ჰარუნ დოგანთან წააგო 3:2.

გახსოვთ, ალბათ, ამ წონაში ევროპის ორგზის ჩემპიონი დავით პოლოსიანი ჭიდაობდა. ისიც გაცნობეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ წონის დაკლებამ იგი ფორმიდან ამოაგდო. ჭარბი წონა მას გადაულახავ პრობლემად ექცა და მისგან თავის დასაღწევად იოლი გზა ირჩია — ადგა და მომდევნო, 63 კგ წონაში გადაინაცვლა. მისი ნათლობა ამ ახალ წონაში სწორედ ანკარაში უნდა შემდგარიყო, მაგრამ იქ ჩასულმა ერთ-ერთ ვარჯიშზე მცირე ტრავმა მიიღო. ნაკრების ხელმძღვანელობამაც არ გარისკა და პოლოსიანს საერთოდ არ უჭიდავია. ტრავმამ შეუშალა ხელი ემზარ ბედინეიშვილსაც (69), რომელიც თბილისშივე დაშავდა.

76-ში მწვრთნელებმა ორი ფალავანი — რევაზ მინდორაშვილი და ალექსანდრე კახნიაშვილი იახლეს. კახნიაშვილი ორი მოგების შემდეგ გამოეთიშა შეჯიბრს, ხოლო მინდორაშვილმა საწყისი სამი შეხვედრა მოიგო, მეოთხე მასპინძელთან ფრედ დაამთავრა, მსაჯებმა კი გამარჯვება მის მეტოქეს უბოძეს. ლიდერის საკითხი ამ წონაში მაინც გაურკვეველია და მას ალბათ საქართველოს ჩემპიონატი გაარკვევს.

გუნდის ხელმძღვანელობა კმაყოფილია მეოთხე ადგილზე გასულ გოჩა ჩიხრაძისა (85) და განსაკუთრებით, ელდარ კურტანიძის ჭიდაობით. ამ უკანასკნელმა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში ოფიციალურ დონეზე პირველად იჭიდავა და როგორც დელეგაციის ხელმძღვანელმა, ჭიდაობის ფედერაციის გენმდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა გვითხრა, ჩინებულადაც. ზედიზედ ორი მასპინძლის დამარცხებით ჯგუფში პირველობა კი გაინაღდა, მაგრამ ბოლო მოგებას შეეწირა კიდეც. მისი მეტოქე წაგებამ ისე გააცოფა, რომ ბინძურ თამაშზე გადავიდა და ევროპის სამგზის ჩემპიონი ვითომ შეუმჩნეველი მუჯლუგუნებით გვარიანადაც დაგვილილავა. ამ მომენტში მაყურებელმაც თავი შეირცხვინა და ხალიჩაზე სხვადასხვა საგნების სროლა დაიწყო. გუნდის ხელმძღვანელობამ ფქტობრივად ტრავმირებური ელდარი მომდევნო შეხვედრაში არ გაიყვანა. ჯგუფური ბარიერი ვერ დაძლია ალექსანდრე მოდებაძემ (მძიმე).

ირანში, ტახტის ტურნირში, ჩვენი ახალგაზრდა მოჭიდავეების მონაგარზე გუშინ გაცნობეთ, დღეს კი მასზე ცოტა ვრცლად გესაუბრებით.

ეს ტურნირიც „ა“ კატეგორიისა და მასპინძლებს მისთვის თეირანში უმაღლეს დონეზე უნდა ემასპინძლათ, მაგრამ... მოულოდნელად ირანის ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელობაში საქმეები აირია და ვერც ორგანიზაციულ საკითხებს მოაბეს თავი. შეჯიბრი თეირანიდან ქალაქ თონქაბონში გადაიტანეს და არც ნორმალური პირობები შეუქმნიათ. ასე, მაგალითად: ჩვენი გუნდები თითო ოთახში ცხოვრობდნენ და პირდაპირ იატაკზე ეძინათ. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ორი ოქრო (ბადრი ხასაია, გიორგი წურწუმია) და ერთიც ბრინჯაო (გიორგი ლეჟავა) მოიპოვეს. ცუდ პირობებთან ერთად თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტურნირში ჩვენები ახალგაზრდული, ხოლო სხვები ძირითადი ნაკრებებით მონაწილეობდნენ, ურიგო შედეგი არაა. მართალია, ვარსკვლავები არც მათ შეხვედრიათ, მაგრამ ასაკი ხომ მაინც გასათვალისწინებელია. გუნდის ხელმძღვანელობა განსაკუთრებით ბადრი ხასაიას კმაყოფილია, რომელიც ტექნიკურ, ნიჭიერ და აზრიან მოჭიდავედ წარმოჩნდა. საყურადღებოა ლეჟავას მიღწევაც. ამ ბიჭმა შარშან ჭაბუკთა შორის მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, წლეულს ასაკით უფროსებში გადავიდა და სასტარტო შეჯიბრში წონის ლიდერ გიორგი ჯობავასაც კი აჯობა.

თავისუფალი სტილით მოჭიდავენი შედარებით მცირეს — თითო-თითო ვერცხლ-ბრინჯაოს დასჯერდნენ. ეს ძნელად მოსაგები ტურნირია. ჩვენები იქ 1992 წლიდან დადიან და ჩემპიონი ჯერ არ ჰყოლიათ. მხოლოდ თითოჯერ გახდნენ ვიცე-ჩემპიონები კურტანიძე და ბედინეიშვილი, წლეულს კი იგივე ოთიაშვილმაც შეძლო. თანაც მან ფინალი მასპინძელთა მსოფლიოს ჩემპიონ ჰეიდართან წააგო. შოთა ბილანიშვილის ბრინჯაოც არაა ურიგო.

ჩვენს მოჭიდავეებს ახლა საქართველოს ჩემპიონატები ელით. 18-19 თებერვალს გლდანის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლაში ბერძნულ-რომაული, ხოლო 21-22-ში თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჩემპიონატები ჩატარდება, მაგრამ შეიძლება ის უფულობის მიზეზით საერთოდ ჩაიშალოს. ყოველ შემთხვევაში, გუშინდლამდე დეპარტამენტმა ფედერაცია საჭირო თანხით ვერ დააფინანსა. რომც ჩატარდეს, ვერც თავისუფალი და ვერც ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები უძლიერესი შემადგენლობით ვერ იასპარეზებენ. პირველთ რამდენიმე ტრავმირებული ჰყავთ, რომელთა ჭიდაობაც საეჭვოა. მეორენი კი 58 და 63-ის ლიდერებს — კობა გულიაშვილს და აკაკი ჩაჩუას მოისაკლისებენ. ჩაჩუა ტრავმირებულია, ხოლო გულიაშვილი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკეთ მზადების მიზნით უარობს არა მარტო საქართველოს, არამედ ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობასაც კი (!). თავისი საქმისა თავად სპორტსმენმა და მისმა მწვრთნელმა იციან, მაგრამ ჩვენ კი უცნაურ გადაწყვეტილებად გვეჩვენება.

დაბოლოს, ერთი ახალი ამბავიც — ახალგაზრდებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი, ნაკრების კანდიდატი, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე გელა ჩხაიძე (85) ბერძნებს წაუყვანიათ იქაურ კლუბში და ნაკრებში საჭიდაოდ. ჩხაიძე თვითნებურად წავიდა. ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ახალგაზრდისგან ასეთი რადიკალური ნაბიჯი ნაჩქარევად მიგვაჩნია. ჩვენმა ფედერაციამ და სეოკმა რომ თანხმობა არ მისცენ, მაშინ საბერძნეთის ნაკრების სახელით ვერსად იასპარეზებს და ოლიმპიური ციკლი გვერდზე დარჩება. მას საქართველოს ნაკრებში დამკვიდრებისა და ოლიმპიადაზე მოხვედრის დიდი შანსი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელები მას ოლიმპიელად 2000-ში თუ არა, მომავლისთვის ნამდვილად მიიჩნევენ.

**ირაკლი თავაძე**

მსოფლიოს თასის ნორვეგიელ ლიდერს ლასე კიუსს სამთომოთხილამურეთა კოლორადოს მსოფლიოს ჩემპიონატზე მხოლოდ ერთი ოქრო ჰქონდა მოპოვებული სუპერგიგანტში და ისიც ავსტრიელ ჰერმან მაიერთან საზიარო გაუხდა. შაბათს კი, გიგანტურ სლალომში კიუსმა ახლოს არავინ მიიკარა და მეორე ოქრო ირგუნა.

# ქვავილი თოვლში

## ავსტრალიელი ჩემპიონი და კავკასიური სამკუთხედი

შეჯიბრების წინ გამარჯვების უპირველეს კანდიდატად 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონს, შვეიცარიელ მიქაელ ვან გრუნიგენს მიიჩნევდნენ. მანაც ჩინებულად დაიწყო ასპარეზობა და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ შვეიცარიელი ოქროს არავის დაანებებდა, მაგრამ, ზემოთაც გითხარით, წლეულს, საუცხოოდ მოსრიალე კიუსს ვერც გრუნიგენმა და ვერც სხვა მოთხილამურეებმა აჯობეს. ლასემ ორი დაშვების ჯამში საუკეთესო დრო — 2:19.31 წუთი აჩვენა. მეორე ლიხტენშტაინელი მარკო ბოუჩელი (2:19.36) იყო, ბრინჯაო კი შვეიცარიელ სტივ ლოჩერს (2:20.79) ერგო. მიქაელ ვან გრუნიგენი კი მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა.

გიგანტურ სლალომში სამი ქართველიც გამოვიდა. ჩვენებურთაგან საუკეთესო ცოტნე ებრალიძე (2:43.58 — 49-ე ადგილი) იყო. გოდერძი დადვანმა და გოგლა მახარაშვილმა კი ტრასა ვერ ჩაამთავრეს. აქვე ჩვენს მეზობლებზე, სომხებზე და აზერბაიჯანელებზეც გეტყვით. აზერბაიჯანიდან მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ დროს ბაკურიანელმა ელბრუს ისაკოვმა იასპარეზა, სომხებმა კი კოლორადოში ჰარუთუნიანთა საგვარეულოს ოთხი წარმომადგენელი — არტური, ვიგენი, არსენი და სეირანი წარგზავნეს, ამათგან პირველი ორი შესაბამისად 52-ე და 55-ე ადგილებზე გავიდა. ეს ბიჭები ძმები არიან, ბიძაშვილები თუ უბრალოდ მოგვარეები, ეს კი ვერსად შევიტყვეთ.

კაცთა გიგანტური სლალომის მერე ვეილის მთებში სამთომოთხილამურე ქალები შეიყარნენ და უკანასკნელ საზეობაში, სლალომში გაეჯიბრნენ ერთურთს.

ამასწინათ ქალთა გიგანტურ სლალომზე რომ მოგითხრობდით, იმაიკელ მოთხილამურეზეც გიამბეთ, ერთი სიტყვით, თოვლსა და თხილამურებს მზიანი ქვეყნის შვილები ძალიან გაუთამამდნენ და ამის დასტურად 24 წლის ავსტრალიელის სალი სტეგალის სლალომში გამოსვლაც იკმარებს.

სტეგალმა, რომელიც 14 წლამდე საფრანგეთში ცხოვრობდა და მხოლოდ ამის მერე მიაშურა მწვანე კონტინენტს, ყველასთვის მოულოდნელად პირველობა არავის დაუთმო და სლალომში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. შვედმა პერნილა ვიბერგმა კი კომბინაციაში მოპოვებულ ოქროს სლალომის ვერცხლიც მიუმატა. ბრინჯაო ნორვეგიელ ტრაინ ბაკეს ერგო.

ჰერმან! ჰერმან! — ასე ამხნევებდნენ ქომაგები ფინელ მოთხილამურე კალე პალანდერს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო დღეს კაცთა სლალომში ასპარეზობდა. ცხადია, იკითხავთ, ჰერმანი რაღა შუაშია. საქმე ისაა, რომ პალანდერს სახითა და რისკიანი თხილამურობით ძალიან ამსგავსებენ ავსტრიელ ჰერმან მაიერს, კალეც თავის თავს „პატარა ჰერმინატორს" უწოდებს და აკი გაამართლა კიდეც მეტსახელი. პალანდერი პირველი ფინელი შეიქნა, ვინაც სამშობლოს სამთო-სათხილამურო სპორტში ოქროს მედალი მოუტანა. „პატარა ჰერმინატორმა", რომელიც ადრე ჰოკეით ყოფილა გატაცებული და საბოლოოდ მაინც ფერდობებზე სრიალი გადაუწყვეტია, სლალომში ყველა უკან მოიტოვა და 1:42.12 წუთით იჩემპიონა კიდეც. ნორვეგიელი ლასე კიუსი (1:42.23) მეხუთედ ავიდა კვარცხლბეკზე, ამჯერად მას ვერცხლი ერგო, ბრინჯაოს პრიზიორი კი ავსტრიელი კრისტიან მაიერი (1:42.25) გახდა.

ჩვენებურთაგან გოგა მახარაშვილი 30-ე ადგილზე გავიდა. ეს შედეგი მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველთაგან საუკეთესოა.

**სოსო ძოტორეიშვილი**



REUTERS ფოტოები

„პატარა ჰერმინატორი": კალე პალანდერი




სალი სტეგალი: ცივი ოქრო ცხელი ავსტრალიისთვის



REUTERS ფოტოები

ლასე კიუსი კოლორადოში გამდიდრდა: შინ, ნორვეგიაში ორი ოქრო და სამი ვერცხლი მიაქვს

**ქვეყნების მონაგარი**

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| ავსტრია | 5 | 3 | 5 |
| ნორვეგია | 3 | 4 | 2 |
| შვედეთი | 1 | 1 | — |
| ავსტრალია | 1 | — | — |
| ფინეთი | 1 | — | — |
| ლიხტენშტაინი | — | 1 | — |
| შვეიცარია | — | — | 2 |
| საფრანგეთი | — | — | 1 |

**ვეილი. კოლორადო. აშშ. სამთოთხილამურობა. სლალომი (პირველი დაშვება 55 კარი, მეორე 59. სიმაღლეთა სხვაობა 165 მეტრი)**

ქალები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | სალი სტეგალი (ავსტრალია) | (46.44/47.53) | 1:33.97 |
| 2 | პერნილა ვიბერგი (შვედეთი) | (46.44/48.33) | 1:34.77 |
| 3 | ტრაინ ბაკე (ნორვეგია) | (46.31/48.69) | 1:35.00 |
| 4 | ანდრინ ფლემენი (ნორვეგია) | (46.89/48.17) | 1:35.06 |
| 5 | რიტა პიტკინენი (ფინეთი) | (36.81/48.31) | 1:35.12 |

**ვეილი. კოლორადო. აშშ. სამთოთხილამურობა. გიგანტური სლალომი (პირველი დაშვება 51 კარი, მეორე 50, სიმაღლეთა სხვაობა 375მ)**

კაცები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ლასე კიუსი (ნორვეგია) | (1:11.56/1:07.75) | 2:19.31 |
| 2 | მარკო ბოუჩელი (ლიხტენშტაინი) | (1:11.31/1:08.05) | 2:19.36 |
| 3 | სტივ ლოჩერი (შვეიცარია) | (1:11.97/1:08.82) | 2:20.79 |
| 4 | პოლ აკოლა (შვეიცარია) | (1:12.24/1:08.90) | 2:21.14 |
| — | ფრედრიკ ნიბერგი (შვედეთი) | (1:12.28/1:08.86) | 2:21.14 |
| ... | | | |
| 49 | ცოტნე ებრალიძე (საქართველო) | (1:24.38/1:19.20) | 2:43.58 |

**ვეილი. კოლორადო. აშშ. სამთოთხილამურობა. გიგანტური სლალომი**

| | | |
|---|---|---|
| 1 | კალე პალანდერი (ფინეთი) | 1:42.12 |
| 2 | ლასე კიუსი (ნორვეგია) | 1:42.23 |
| 3 | კრისტიან მაიერი (ავსტრია) | 1:42.25 |



# გრეცკიმ იცის: რასაც გასცემ შენია...

15 თებერვალი

**ნეშვილი — რეინჯერსი 4:7**

0:4 3:2 1:1

0:1 გრეივსი 5'10 (25); 0:2 მაკლინი 5'43 (20); 0:3 ფედიუკი 7'38 (4); 0:4 ჰარვი 14'08 (11); 0:5 სტივენსი 24'41 (12); 0:6 გრეივსი 27'31 (26); 1:6 ჯონსონი 30'38 (15); 2:6 ბორდელო 30'55 (8); 3:6 უოკერი 36'51 (7); 4:6 ფიცჯერალდი 47'50 (8); 4:7 შნაიდერი 56'47 (7)

ლიგის ყველაზე ახალგაზრდა გუნდის, ნეშვილის ქომაგებს არასოდეს დაავიწყდებათ 15 თებერვლის საღამო. ეს იყო „დიადის" პირველი და იქნებ უკანასკნელი სტუმრობაც, რომელიც ნამდვილი შოუ გამოდგა. მასპინძელმა ჰოკეისტებმა ოსტატობის გაკვეთილები მიიღეს. „ასეთი პასების შემდეგ ჩემი ოთხი წლის ვაჟიშვილიც გაიტანს" — თქვა მატჩის შემდეგ მათმა კაპიტანმა ტომ ფიცჯერალდმა. ლიგის გამოუცდელმა დებიუტანტებმა კი სცადეს, შეტევაში გრეცკისა და კომპანიასს გაჯიბრებოდნენ, მაგრამ გვარიანად დაისაჯნენ. „დიადმა" უიშვიათესი სიზუსტის პასებით არაერთხელ მოამარაგა თანაგუნდელები და 5 შედეგიანი გადაცემაც მოაგროვა იმ დროს, როცა მისმა პარტნიორებმა თითქმის ამდენივე ვერ გამოიყენეს. განსაკუთრებით ლამაზი და ოსტატური მესამე გადაცემა გახლდათ. კარს უკან, მასთან ზურგით მდგარმა გრეცკიმ ისე ზუსტად გადასცა კევინ სტივენსს, თითქოს ზედმიწევნით კარგად ხედავსო. „ვერც ერთი მოთამაშე ასე ვერ აზროვნებს. ვიცოდი, რომ ამ მომენტში რაღაცას მოიფიქრებდა, მაგრამ ასე?" — თქვა გაოცებულმა სტივენსმა, როცა მას გოლის აღწერა სთხოვეს. გარდა იმ ხუთი პასისა, რაც კლუბის რეკორდის გამეორებაა და რის შემდეგაც „დიადმა" კარიერაში 2850 ქულა დააგროვა, გრეცკის თავადაც შეეძლო გამორჩევა, მაგრამ ორჯერ ბედმა უმტყუნა.

**პიტსბურგი — ვაშინგტონი 7:3**

3:1 2:1 2:1

0:1 ჟიუნო 7'03 (12); 1:1 შლეგრი 11'45 (2); 2:1 მოროზოვი 15'48 (6); 3:1 მილერი 18'51 (13); 4:1 ტიტოვი 21'11 (9); 5:1 ტიტოვი 26'17 (10); 5:2 ბონდრა 29'10 (27); 5:3 ოუთსი 41'56 (9); 6:3 მოროზოვი 52'46 (7); 7:3 იაგრი 55'28 (27)

გვაოცებს „დიადის" თამაში, მაგრამ ის მაინც მიმავალი ვარსკვლავია, პიტსბურგელ იარომირ იაგრის მთავარ მიღწევებსა და რეკორდებს კი მომავალში უნდა ველოდეთ. თუმც ის, რასაც ჩეხი ამ ბოლო ხანს აკეთებს, მართლაც დიდი ოსტატობაა. „პინგვინთა" ათმატჩიანი წარმატებული სერიის მთელ მანძილზე იარომირი ბრწყინვალედ უძღვის წინ თანაგუნდელებს (25 ქულა მიითვალა და უფრო მტკიცედ მკვიდრდება ბომბარდირთა შორის). ვაშინგტონთან მატჩში იაგრმა 1 გოლით და 3 პასით სოლიდური წვლილი შეიტანა თავისი კლუბის გამარჯვებაში. იყოჩაღა მისმა ახალგამომცხვარმა პარტნიორმა კიპ მილერმაც (1+1). ამ მატჩში ძალიან მოიწადინეს „პინგვინთა" რუსებმაც — გერმან ტიტოვმა 4 (2+2) ქულა დააგროვა, ალექსეი კოვალიოვმა (პასი) კი ქულიანი სერია 10 მატჩამდე გააგრძელა.

**სენტ ლუისი — ვანკუვერი 8:1**

5:0 2:1 1:0

1:0 მაიერსი 5'25 (2); 2:0 პელერინი 5'46 (13); 3:0 იანგი 12'19 (13); 4:0 მაკინისი 12'55 (16); 5:0 ტარჯონი 16'21 (19); 5:1 ბრაშირი 25'48 (7); 6:1 რომი 27'22 (7); 7:1 იეიკი 32'13 (7); 8:1 პერსონი 47'41 (1).

ვანკუვერს, როგორც ჩანს, პლეიოფში გასვლის იმედი სრულიად გადაეწურა და თანდათან გაიხსენა თავისი შარშანდელი „გმირობანი": სტუმრები, რომელთაც ტრავმის გამო მარკ მესიე აკლდათ, ელ მაკინსის ზუსტი შორეული დარტყმის შემდეგ მარცხს შეურიგდნენ, დაივიწყეს ყოველგვარი სათამაშო დისციპლინა და მეტოქეებთან ანგარიშსწორებაზე გადავიდნენ.

**აილენდერსი — ტამპა 3:3**

1:1 1:0 1:2 0:0

0:1 ტაკერი 2'04 (15), 1:1 ჩერკავსკი 15'54 (13); 2:1 პალფი 21'18 (10); 2:2 ნიულანდერი 46'08 (3); 3:2 პალფი 47'10 (11); 3:3 ლეკავალიე 50'29 (9)

21 იანვრის შემდეგ ეს ტამპელთა პირველი ქულაა.

**ბუფალო — კაროლინა 3:2**

1:1 1:1 1:0

1:0 შატანი 6'10 (24); 1:1 ჟელინა 9'51 (9); 2:1 პატრიკი 25'59 (1); 2:2 ჟელინა 32'41 (10); 3:2 პეკა 44'04 (21)

**ნიუ ჯერსი — ტორონტო 3:3**

2:2 1:1 0:0 0:0

0:1 ბერარდი 8'03 (7); 0:2 დ. კინგი 9'04 (18); 1:2 პანდოლფო 15'54 (13); 2:2 ჰოლიკი 17'53 (22); 3:2 არნოტი 21'41 (12); 3:3 ვოლკი 39'00 (5)

**ფლორიდა — სან ხოსე 2:2**

0:1 1:0 1:1 0:0

0:1 ფრიზენი 7'33 (17); 1:1 უიტნი 28'47 (16); 1:2 ნორტონი 50'50 (3); 2:2 უიტნი 53'43 (17)

სულ რაღაც 6 წუთი და სტუმრები კლუბის ახალ რეკორდს დაამყარებდნენ, მაგრამ ყოფილმა „ზვიგენმა" რეი უიტნიმ მათ მე-5 საგარეო გამარჯვება გამოსტაცა ხელიდან.

**ოტავა — ჩიკაგო 6:2**

2:0 1:1 3:1

1:0 იაშინი 3'01 (25); 2:0 რედენი 15'52 (6); 3:0 პროსპალი 24'37 (5); 3:1 უაიტი 38'34 (5); 4:1 მაკიჩერნი 43'42 (26); 4:2 ჩელიოსი 51'55 (7); 5:2 რედენი 53'53 (7); 6:2 იაშინი 54'58 (26).

Maple Leaf Garden-ზე მოპოვებულმა ისტორიულმა გამარჯვებამ ჩიკაგოელებს, ეტყობა, ძალა გამოაცალა.

**ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი 1:3**

0:0 1:1 0:2

1:0 იოკინენი 35'40 (6); 1:1 სანდსტრიომი 35'57 (8); 1:2 სანდსტრიომი 46'40 (9); 1:3 კარია 59'09 (24)

47-ე წუთზე ტომას სანდსტრიომმა ბულიტი გამოიყენა და სტუმრებს გამარჯვება მოუტანა, მატჩის შემდეგ კი პარტნიორ ტეემუ სელიანეს მადლობა უთხრა: „ტეემუმ ზედა კუთხეში დარტყმა მირჩია, რადგან ბულიტის დროს მეკარეები ხშირად ჩაიმუხლებიან ხოლმე".

**დალასი — ედმონტონი 4:1**

2:1 2:0 0:0

1:0 ჰალი 0'50 (22); 2:0 ჰალი 2'37 (23); 2:1 უეიტი 6'56 (3); 3:1 მარშალი 21'09 (10); 4:1 ნუინდაიკი 34'44 (12)

ბრეტ ჰალისთვის ედმონტონი ყოველმხრივ ხელსაყრელი მეტოქეა (39 მატჩში 36 გოლი და 22 პასი).

**სამველ ლარიბიანი**

**სატურნირო ვითარება**

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 54 | 30 | 8 | 16 | 158:117 | 68 |
| ტორონტო | 54 | 30 | 4 | 20 | 175:164 | 64 |
| ბუფალო | 54 | 26 | 10 | 18 | 146:115 | 62 |
| ბოსტონი | 54 | 22 | 9 | 23 | 136:127 | 53 |
| მონრეალი | 56 | 21 | 8 | 27 | 128:147 | 50 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 56 | 25 | 9 | 22 | 147:144 | 59 |
| ფლორიდა | 54 | 20 | 14 | 20 | 134:144 | 54 |
| ვაშინგტონი | 54 | 22 | 4 | 28 | 136:144 | 48 |
| ტამპა | 54 | 11 | 5 | 38 | 110:195 | 27 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 53 | 28 | 13 | 12 | 170:113 | 69 |
| პიტსბურგი | 52 | 30 | 7 | 15 | 170:139 | 67 |
| ნიუ ჯერსი | 55 | 30 | 7 | 18 | 161:141 | 67 |
| რეინჯერსი | 54 | 21 | 7 | 26 | 147:151 | 49 |
| აილენდერსი | 56 | 16 | 7 | 33 | 132:171 | 39 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 56 | 29 | 4 | 23 | 165:141 | 62 |
| სენტ ლუისი | 53 | 22 | 9 | 22 | 149:140 | 53 |
| ნეშვილი | 55 | 19 | 5 | 31 | 127:178 | 43 |
| ჩიკაგო | 56 | 15 | 8 | 33 | 123:179 | 38 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 51 | 33 | 8 | 10 | 151:104 | 74 |
| ფინიქსი | 53 | 29 | 10 | 14 | 141:10; | 68 |
| ანაჰაიმი | 55 | 23 | 9 | 23 | 145:134 | 55 |
| სან ხოსე | 55 | 20 | 13 | 22 | 129:126 | 53 |
| ლოს ანჯელესი | 55 | 20 | 4 | 31 | 129:149 | 44 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| კოლორადო | 55 | 29 | 5 | 21 | 149:134 | 63 |
| ედმონტონი | 54 | 21 | 8 | 25 | 146:142 | 50 |
| კალგარი | 55 | 19 | 8 | 28 | 137:161 | 46 |
| ვანკუვერი | 55 | 18 | 7 | 30 | 141:173 | 43 |

*ბომბარდირები:* იაგრი (პიტსბურგი) 85 (27+58); ლინდროსი 77 (32+45); ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 70 (35+35); კარია 68 (24+44); სელიანე (ორივე — ანაჰაიმი) 66 (26+40); იაშინი (ოტავა) 62 (26+36); ფორსბერგი (კოლორადო) 62 (16+46); ფლერი (კალგარი) 60 (26+34); საკიკი (კოლორადო) 58 (25+33); სტრაკა (პიტსბურგი) 57 (24+33); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 56 (29+27); დემიტრა (სენტ ლუისი) 56 (25+31); მოდანო (დალასი) 55 (17+38); გრეცკი (რეინჯერსი) 55 (8+47)


REUTERS ალკობალადან

# ვითომ გეკარნავალება?!

რატომაც არა, თუკი გვერდით საყვარელი ქალი გყავს, ხოლო ჯიბეში იმდენივე ტუგრიკი, რამდენიც თმა ამ ქალის... ვთქვათ, თავზე. მოკლედ: 14 თებერვალი, ალკობალა. პორტუგალია. რონალდო და სუზანა 2004 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის მოსურნე პორტუგალიელ აქტივისტთა მიერ მოწყობილ კარნავალზე.

# ვისაც კარგი ცოლი ჰყავს...



ასეთ ფორმაში გამოცხადდა „რეალის" გერმანელი მეკარის ბოდო ილგნერის მეუღლე და მენეჯერი ბიანკა ილგნერი მადრიდული კლუბის პრეზიდენტ ლორენსო სანსთან მოსალაპარაკებლად. როგორც ჩანს, ბიანკა კარგ ცოლთან ერთად კარგი მენეჯერიცაა, რადგან მსოფლიოს ჩემპიონ მეუღლეს სახელგანთქმულ გუნდთან კონტრაქტი 2003 წლამდე გაუგრძელა. აბა, ასეთი თანამეცხედრის გვერდიდან მოშორება როგორ შეიძლება, ბოდომაც ბიანკა გულისპირმოღიავებულ კაბაში გამოპრანჭა და ჩემპიონთა თასის მოგებისადმი მიძღვნილ ზეიმზეც გვერდი დაიმშვენა.


SPORT BILD

# ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული

როცა შენი მანქანა სამჯერ გადატრიალდება და ნაწლავებს გადმოყრის, ხოლო შენ მხოლოდ მსუბუქ ნაკაწრებით გადარჩები, ჩათვალე, რომ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულხარ. გაიცანით ერთი მათგანი: ავტომრბოლი დენი ბოგუელი, რომლის ფორდმაც წერილი კვირას, დეიტონ ბიჩიდან, „დეიტონ 500"-ის ერთ-ერთ გარბენისას წაიღო.






REUTERS დეიტონიდან


REUTERS იერუსალიმიდან

# პრემიერის ტაიმ-აუტი

მას გასართობად არ სცალია ახლა რომ პალესტინელებს ეფერება, მერე საკუთარ ულტრა-ნაციონალისტებს უნდა დაუყვავოს, იქით მისი გადაყენების მოსურნე პარლამენტს რომ უღრენს, აქეთ ... გამძვინვარებულ სამღვდელოებას უნდა ელაქუცოს... ერთადერთი ადგილი, სადაც თუნდაც ერთი წუთით შეიძლება დაივიწყო, რომ ბენიამინ ნეთანიაჰუ ხარ... „იგი ბურთთანაც კარგადაა", ფიქრობენ ბიჭები.

# მისი შაფროამერიკელესობა

*აფრო-ამერიკელები კინოში, ტელევიზიაში, ლიტერატურასა თუ რამე-რუმეში გამორჩეულ „თანამემამულეებს" ყოველწლიურად საგანგებო „იმიჯ-ჯილდოს" გადასცემენ ხოლმე. წელს ეს საზეიმო თავშეყრა პასადენაში მოეწყო. „მის უპაეროვნესობას", კალათბურთის გადამდგარ გენერალ მაიკლ ჯორდანს, იქ მავანი ჯეკი რობინსონის სახელობის „სპორტ-ჯილდო" გადასცეს. მაიკლი ფიქრობს, რომ ეს სამართლიანი გადაწყვეტილებაა. რა, არა?!*



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29